ახალი განათლება

2014 წელი, 6-12 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№33 (667)

გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

პროგრესი იმისთვის გვჭირდება, რომ თავისუფალი ევროპული ქვეყანა გავხდეთ



გვერდი 6-7

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“
სტუმარია სოფო ხოშტარია, პარიზი II პანთეონ-ასასის
უნივერსიტეტის სტუდენტი

სოციალური პოლიტიკის ხარვეზები და შშმ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

გვერდი 3

გვერდი 4

პედაგოგთა დასახმარებლად ინგლისური ენა

გვერდი 5

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

იბეჭდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის



7.90 ₾ 7.90 ₾ 7.90 ₾ 7.90 ₾

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

სიახლე! მოსწავლეებისთვის! გადაფხიკეთ კოდი და ჩააბარეთ 1000 ტესტი ელექტრონულად.

თითოეულ წიგნში შესულია პროგრამით გათვალისწინებული **თეორიული მასალა** და **ტესტები.**

თითოეულ წიგნს აქვს გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებული უნიკალური კოდი. მოსწავლეებს შეუძლიათ, ეს კოდი შეიყვანონ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ **facebook** გვერდზე **fb.com/bakursulakauripublishing** და ჩააბარონ „საატესტატო გამოცდები“ ელექტრონულად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 2 422 422 | 2 91 11 65 | 2 91 09 54

კონკურსი უფროსკლასელთათვის

„გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროებისა და გაზეთ „ახალი განათლების“ მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს თემაზე „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ტრადიციები საქართველოში“.

კონკურსის მიზანია გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული, დღემდე შემონახული ტრადიციები, გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი შესწავლისათვის, ჩართოს ახალი თაობა მივიწყებული ტრადიციების მოძიებასა და ფიქსაციაში.

კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:

პირველი ტური

ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო, აგრეთვე ხელოვნების, შრომის ან სხვა პედაგოგის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შერჩევა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა შემოთავაზებული გეგმის მიხედვით (იხ. **საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა**), თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (თემისათვის, სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი ტრადიცია, რომელიც უკავშირდება გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვების წესებს და ბუნების სათუთი გამოყენების ჩვეულებებს.

ასეთი შეიძლება იყოს:

მიწათსარგებლობა და ტერიტორიების დაგეგმვა-გამოყენება: ტრადიციული ნაკრძალების (მაგ. ხატის ტყე) შერჩევა-გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო, მათ შორის სამიწათმოქმედო და სათიბ-საძოვარი მიწების შერჩევა, ტიპოლოგიური დანაწილება და გამოყენება, მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

წიაღისეულის მოპოვება: (მათ შორის მინერალები და სამკურნალო წყლები, ქვა, სხვა წიაღისეული) მოპოვება-გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული წესები, ტექნოლოგიები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, რიტუალები, ზეპირი გადმოცემები.

ტყის რესურსების გამოყენება: ხის ჭრა და გამოტანა, ტყის პროდუქტის შეგროვება.

წყლის რესურსების, მათ შორის სასმელი წყლის მოპოვება-გამოყენება: მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები.

მონადირეობა/მეთევზეობა: მასთან დაკავშირებული ადათ-წესები, რიტუალები, ჩვეულებები, ზეპირი გადმოცემები, ინსტრუმენტები.

სამედიცინო რესურსების მოპოვება-გამოყენება: მცენარეული, მინერალური და სხვა წამლების, მალამოების ბუნებრივი ინგრედიენტების შეგროვება-დამზადებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული წესები, ტექნოლოგიები, რიტუალები, ინსტრუმენტები, ატრიბუტები, ზეპირი გადმოცემები.

ბუნების მოვლენებთან (ციური მნათობები, ამინდი: გვალვა, სეტყვა, წვიმა, თოვლი, ზვავი, ქარიშხალი და ა.შ., მზის და მთვარის დაბნელება) დაკავშირებული ადათ-წესები, ზეპირი გადმოცემები, ორნამენტები, ატრიბუტები და რიტუალები.

სხვა რამ, რაც უკავშირდება ეკოლოგიასა და ბუნების დაცვას, ბუნებრივი რესურსების მოპოვება/გამოყენებას.

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში, ან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com ნამუშევრებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები. **გადმოგზავნის ვადაა 2015 წლის 1 თებერვალი.**

საინტერესო ნაშრომების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ მეორე ტურში.

მეორე ტური

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორების ხელმძღვანელობით, მათ მიერ შერჩეულ ნიმუშზე შეავსებენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააღრიცხვო ბარათს. შედგენილი მასალები განიხილება კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების მიერ, მათი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წარდგენის მიზნით.

საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორები (სკოლა, მასწავლებელი, მოსწავლე) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაჯილდოვდებიან საგანგებო სიგელითა და წოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“. საუკეთესო ნამუშევრები აგრეთვე გამოქვეყნდება გაზეთ „ახალ განათლებაში“.

საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა:

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – *დასახელება*
2. იდეის ავტორი – *სახელი, გვარი*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ. ელმისამართი)*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი)
7. ნიმუშის მოკლე აღწერა

მოკლე აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ;*
- *ტრადიციული და ამჟამინდელი (თუ განსახვავებულია) სახელწოდება;*
- *ზოგადი აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ მზადდება/გამოიყენება/სრულდება;*
- *გამოყენების/შესრულების ტექნოლოგია – ნედლეული მასალა, მისი შერჩევა, მოპოვება, დამუშავება, ტრანსპორტირება, ნიმუშის მოპოვებისა და გამოყენების ტექნოლოგიის აღწერა, დამზადების ინსტრუმენტები, სხვა საჭირო ატრიბუტები და გარემოებები (წელიწადის დრო, ამინდი, ა.შ);*
- *ორნამენტი;*
- *შემსრულებლები (ხის მჭრელი, წიაღისეულის მომპოვებელი, მქარგავი, ექიმბაში და ა.შ), მათი წეს-ჩვეულებები და რიტუალები;*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის პრაქტიკირებისათვის;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ ან სამეურნეო, რელიგიურ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალურობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის.*

სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 400- 500 სიტყვას.

სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), დამატებით, ასევე შესაძლებელია ჩანახატის, ჩანახაზის, შაბლონის, სქემის, ესკიზის და სხვა თვალსაჩინო მასალის წარმოდგენა.

გვეკონტაქტეთ: **სამუშაო დღეებში**
(32)298-39-24 – 13სთ-დან 15სთ-მდე
ან 599 08 40 03;
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი
იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.



მასწავლებლის სამუშაო რვეული

3 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

დამრიგებლის პორტფოლიო

6 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია

ინკლუზიური განათლება

სოციალური პოლიტიკის ხარვეზები და შშმ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

ლალი ჯელაძე

შშმ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა და მათი ოჯახები, რა გამოწვევების წინაშე დგას ქვეყანა, რა კეთდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მიმართ არსებული სტიგმისა და მათი საზოგადოებისაგან იზოლირების დაძლევის თვალსაზრისით, არის თუ არა საკმარისი იმ სკოლებისა და სათემო ცენტრების რაოდენობა, სადაც შესაძლებელია შშმ ბავშვების ჩართვა – ამ თემებზე გაიმართა დისკუსია „ფრონტლაინ ჯორჯია“ კლუბის და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომლის მხარდამჭერი გაეროს ბავშვთა ფონდია.

„შშმ ადამიანთა უფლებრივი პრობლემები მათი დაბადებიდანვე იწყება – სამშობიაროდან ჩნდება ჯანდაცვის პრობლემა – ნაკლებად კვალიფიციურობა, სერვისების არასაკმარისი რაოდენობა, სოციალური სერვისების სიმცირე, ის სერვისებიც კი, რაც სახელმწიფოში არსებობს, თითოეულ ოჯახსა და პიროვნებაზე უნდა აისახოს, რაც, სამწუხაროდ, ვერ კეთდება ისე, როგორც უნდა კეთდებოდეს“ – ასე დაიწყო დისკუსია მოდერატორმა, **ლია ტაბატაძემ**. ის წარმოადგენს ორგანიზაციას „კავშირი ჩვენი ბავშვები“ და თვითონაც მიეკუთვნება იმ მშობლების რიცხვს, რომლებსაც ძალიან რთული და მძიმე გზის გავლა უწევთ იმისთვის, რომ შშმ ბავშვებს მისცენ განათლებისა და განვითარების შესაძლებლობა.

„პირადად მე, როგორც მშობელმა, ისევე როგორც ბევრმა მშობელმა ჩემ გარშემო, ძალიან რთული გზა გავიარე, თუნდაც იმიტომ, რომ სოციალური მუშაკის სერვისი არ არსებობს, რომელიც დააკვალიანებს მშობელს – რა უნდა გააკეთო, სად ჩართო შენი შვილი, რა სერვისები არსებობს, რა გამოწვევების წინაშე დგახარ და როგორ უნდა გაართვა თავი ამ ყველაფერს. ასე კითხვა-კითხვით გვიწევს საოცარი პრობლემების გადაჭრა. ამასობაში გადის დღეები, თვეები, წლები, რაც აგვიანებს შშმ ადამიანთა განვითარებას. ბევრმა მშობელმა არ იცის, რომ არსებობს ადრეული განვითარების პროგრამა, ანუ ინფორმაციის მიწოდების პრობლემაც დგას – სერვისები, რაც არსებობს, ისიც კი არ მიდის თითოეულ ოჯახამდე. ეს, თავისთავად, ბავშვის განვითარებაში შეფერხებას იწვევს – დაგვიანებული ჩართვა. აქედან გამომდინარე, გვიანდება ბაღებში ან სკოლებში მიყვანა, რის შემდეგაც იწყება განათლების სისტემასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები და რის წინაშეც დგას დღეს ინკლუზიური განათლება.“

მაგული შაღაშვილმა, „პირველი ნაბიჯის“ წარმომადგენელმა, ყურადღება იმ პრობლემებზე გაამახვილა, რომლის წინაშეც დგას შშმ ბავშვი და მისი ოჯახი.

„ადრეული ჩარევის სახელმწიფო პროგრამა“ რამდენიმე წლის წინ დაიწყო, მაგრამ, სამწუხაროდ, რეგიონებში მცხოვრები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის არ არის ხელმისაწვდომი. ეს სისტემური პრობლემაა. განსაკუთრებული საჭიროებით დაბადებულ ბავშვს ვერც სოციალური და ვერც სამედიცინო სფერო ხვდება მაინცდამაინც მომზადებული. ეს საბჭოთა სისტემის გადმონაშთია – არ ხდება ოჯახის სწორად ინფორმირება. ყველა ბავშვს აქვს განსაკუთრებული პოტენციალი და მის განვითარებაზე ზრუნვა დაბადების დღიდანვე უნდა დაიწყოს, რომ არ დადგეს ცუდი შედეგი – ინსტიტუციაში ან ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებაში ბავშვის განთავსება. სწორედ ეს არის სოციალური პოლიტიკის პირველი ხარვეზი, რომელსაც ბავშვი და ოჯახი ეჯახება. ადრეული ჩარევის პროგრამა ხუთ ქალაქში ხორციელდება და იმედი გვაქვს, მომავალი წლიდან კიდევ დაემატება ცენტრები.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა სკოლამდელი განათლებაა. დღესდღეობით სკოლამდელი განათლების ინსტიტუტები არ არიან მზად, შესაბამისად უპასუხონ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებს. საბავშვო ბაღში, სადაც ჯგუფში 30 ან 40 ბავშვია, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისთვის სპეციალიზებული გეგმის განვითარება და უზრუნველყოფა ძალიან რთულია. გარდა ამისა, მეტწილად ირღვევა ბავშვის უფლება სოციალური ინკლუზიის შესახებ. გვქონდა ბავშვის დისკრიმინაციის რამდენიმე შემთხვევა, რომელიც გადავეცით ომბუდსმენის ოფისს – ერთ-ერთი ძალიან გახმაურებული შემთხვევაც იყო. დისკრიმინაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ადმინისტრაციიდან მოდის, ასევე სხვა ბავშვების მშობლებისგან. ნათლად იკვეთება, რომ მნიშვნელოვანია ინფორმაციის გავრცელება. ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება ძალიან ნეგატიურია და არ აქვს ემპათიის უნარი, მაგრამ სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი, რომ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების ინკლუზია საწყისი ეტაპიდან მოხდეს. თავად ბავშვებთან არასდროს არ არის პრობლემა – ბავშვი ძალიან იოლად მიმღებია.

მესამე პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით და ესეც უფლებების დარღვევაა – როდესაც ბავშვი სკოლამდელი განათლების საფეხურს ამთავრებს და უნდა გადავიდეს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში, არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ თანამშრომლობს ამ გზაზე არსებული პრობლემის დასაძლევად. ვიცით, რომ არსებობს დღის ცენტრების პროგრამა და მშობელს უფლება აქვს, სკოლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვის ნაცვლად, შვილი „დღის ცენტრში“ წაიყვანოს. არის შემთხვევები, როცა მშობელს ბავშვი „დღის ცენტრში“ გადაჰყავს, რადგან მიაჩნია, რომ ის უფრო პასუხობს ბავშვის საჭიროებებს, ვიდრე ინკლუზიური განათლების სისტემა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, თავისთავად ირღვევა ბავშვის განათლების უფლება. ასეთ დროს საჭიროა დახმარება, რომ ბავშვმა სკოლაშიც იაროს და თუ სკოლის შემდგომ ესაჭიროება გარკვეული დახმარება – „დღის ცენტრშიც“, ამიტომ უნდა შემუშავდეს ერთიანი სოციალური პაკეტი. ინკლუზიურ განათლებაში პროფესიული ნაბიჯები ნამდვილად იდგმება, მაგრამ დღესდღეობით არსებული ინკლუზიური განათლება უფრო მსუბუქი და საშუალო ინტელექტუალური შეზღუდვების მქონე ბავშვებს პასუხობს, შედარებით მძიმე შშმ ბავშვები კი ისევ განათლების სისტემის გარეშე რჩებიან. პრობლემაა ისიც, როცა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი სკოლას აცდენს 2 ან 3 თვე (ასეთი შემთხვევები გვქონია), სკოლის ადმინისტრაცია გაცდენის მიზეზებს არ კითხულობს. სხვა ბავშვების გაცდენები, როგორც იცით, მკაცრად კონტროლდება. აქაც ირღვევა ბავშვის უფლებები, ამას პოზიტიურ დისკრიმინაციას დავარქმევდი, რაც, ვფიქრობ, მიუღებელია.

ისევ სოციალურ პროგრამებს დავუბრუნდეთ. „დღის ცენტრები“ ერთ-ერთი წამყვანი პროგრამაა სოციალური დახმარების პაკეტში. სახელმწიფომ კარგად უნდა გაიაზროს „დღის ცენტრის“ დანიშნულება, რა ხარისხი უნდა არსებობდს ამ ცენტრში, რომ არ დაირღვეს ბავშვის უფლება და რომ ის არ იქცეს მხოლოდ ბავშვების დროებით განთავსების ადგილად. აქ ბავშვი, თუ ეს საჭიროა, ფორმალური განათლების კომპონენტებსაც და არაფორმალურ განათლებასაც უნდა იღებდეს, რაც მათ დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მშობელი, რომელიც შეიძლება იყოს წარმატებული და დასაქმებული, რჩება 24-საათიანი მომვლელის პოზიციაზე და, შესაბამისად, არა მხოლოდ სოციალურ სტატუსს კარგავს, არამედ, ჯანმრთელობის პრობლემებსაც იძენს, რაც ხშირად ოჯახური კრიზისის საწყისიც ხდება. ამის გამო ბევრი დარღვეული ოჯახი გვყავს. ბავშვების ზრდასთან ერთად იზრდებია სოციალური და ეკონომიკური პრობლემებიც. ამიტომაც მნიშვნელოვანია ამ დიდი ხარვეზის ამოვსება – სახელმწიფომ უნდა დაინახოს ბავშვი არა „დღის ცენტრის“ ან ინკლუზიური განათლების პროგრამაში, არამედ ის დაინახოს, როგორც თანამოქალაქე, რომელსაც ცხოვრების ყველა ეტაპზე სჭირდება სერვისი. დღეს გვაქვს პროგრამები, რომლებიც ეპიზოდურად ვითარდება და არ არის მათ შორის ბმა, რადგან არ არის სახელმწიფო უწყებებს შორის თანამშრომლობა და ერთიანი მიდგომა. თუ ბავშვი გადის ერთი პროგრამიდან, არავინ ინტერესდება შემდეგ სად შედის. მხოლოდ სოციალური მუშაკები ამ პრობლემას ნაკლებად გაუმკლავდებიან, მაგრამ, საქმე ისაა, რომ ისინიც ამ სისტემაში ჩართულები არიან არა იმ ხარისხით და არა იმ პროფესიონალიზმით, როგორიც საჭიროა.

ქვეყანაში არ არსებობს კვლევა, რომელიც შეისწავლიდა, კრიზისის რა ფაზებს გადის შშმ ბავშვის ოჯახი. მსოფლიო გამოცდილებით ასეთი სურათი გვაქვს – შშმ ბავშვიანი ოჯახები და შშმ პირები სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებია. დარწმუნებული ვარ, ჩვენს ქვეყანაშიც ასეთივე სურათია, უბრალოდ, ამას ნაკლებად ვიკვლევთ. რა თქმა უნდა, უეცარ ცვლილებებს არ ველოდებით, მაგრამ მნიშვნელოვანია პროცესი დაიწყოს, რომ დავინახოთ რა საჭიროებაა წარმოდგენილი.

მნიშვნელოვანია შეიქმნას სისტემა, რომელიც პირველი დაინახავს ამ ბავშვს, მის საჭიროებებს. ჩვენი სოციალური პოლიტიკის ხარვეზი სწორედ ეს არის – არ არის აგებული ოჯახის კეთილდღეობაზე. არადა, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელი სწორედ ისაა, ოჯახს საჭირო მომსახურების მინიმალური პაკეტი მაინც შევთავაზოთ.“

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტის, **სალომე ჭიჭინაძის** განმარტებით, ერთ-ერთ ხარვეზს მართლაც წარმოადგენს ოჯახის მხარდაჭერის სერვისებისა და მომსახურების სისტემა. მისივე თქმით, სისტემა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დროს გვერდზე აღმოჩნდა გაწეული და სწორედ ამან გამოიწვია ის დიდი ხარვეზი, რომელიც დღეს ოჯახის მხარდაჭერის სისტემაში არსებობს. *„სისტემაში, პირველ რიგში, ვგულისხმობ არა ცალკეული მომახურებების განვითარებას, არამედ მთლიანად ქსელის განვითარების ხარისხსა და რაოდენობას, რათა დაფარვა იყოს ადეკვატური და ზუსტად პასუხობდეს საჭიროებებს, რომლის საფუძველზეც უნდა დავაფუძნოთ და განვავითაროთ მთლიანი სისტემა “.*

სახელმწიფოს სოციალური მომსახურების ფარგლებში, შშმ ბავშვებთან მიმართებაში, სულ რამდენიმე მომსახურების პროგრამა მოქმედებს: ადრეული განვითარება, რეაბილიტაციის ქვეპროგრამა და „დღის ცენტრი“. მიუხედავად არსებული სტანდარტისა, ხშირ შემთხვევაში, შინაარსისა და ხარისხის თვალსაზრისით, „დღის ცენტრის“ მომსახურებები ბევრ ხარვეზს აჩენს, ამას მონიტორინგიც ადასტურებს. მათი დაძლევის გზას სოციალური დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელი ამ ინსტიტუციებისა და სერვისების ერთიანი ქსელის შექმნასა და ორივე სამინისტროს მხარდაჭერაში ხედავს. *„მთავარი აქცენტი შინაარსზე უნდა გავაკეთოთ – განვითარების რა ხარისხი მისცა ბავშვს „დღის ცენტრმა“, ცენტრის მუშაობის მთავარი კრიტერიუმიც ხომ ეს არის.*

თუკი მხოლოდ ის გვაქვს მიზნად, რომ ბავშვი გამოვიდეს ოჯახიდან და დღის ცენტრმა უზრუნველყოს მისი ტრანსპორტირება სახლიდან ცენტრამდე ან პირიქით, ეს არასწორი მიდგომა იქნება. მონიტორინგი მოგვცემს საშუალებას, გავარკვიოთ, როგორ შეიცვალოს პოლიტიკა „დღის ცენტრთან“ მიმართებაში. ამჟამად აქტიურ ფაზაშია პროცესი და განათლების სამინისტროსთან ერთად წინასწარ ვსინჯავთ ნიადაგს, როგორ მოვახდინოთ შშმ ბავშვების „დღის ცენტრების“ ინტეგრირება სკოლებში.“

სალომე ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ სოციალურად დაუცველი კატეგორიის ოჯახების შეფასების მეთოდოლოგიის შეცვლა, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს შშმ ბავშვთა გამოვლენას. მეთოდოლოგიის შეცვლა ითვალისწინებს გარკვეული დამატებითი კითხვების შეტანას (მეტ აქცენტებს გააკეთებს ბავშვიან ოჯახებზე) და ამასთანავე, სოციალური აგენტის დავალდებულებას, თუ ოჯახში შშმ ბავშვი დახვდება, შეატყობინოს სოციალურ მუშაკს, რომელიც სათანადო ინტერვენციას მოახდენს. *„იქნებ ამან მაინც მოახდინოს შშმ ბავშვების დროულად გამოვლენა შემდგომ მათი სისტემაში მოხვედრის მიზნით“.*

დისკუსია, ძირითადად, იმ აქცენტებისა და პრობლემების გარშემო წარიმართა, რომლებიც მაგული შაღაშვილმა და ლია ტაბატაძემ წამოჭრეს. რა ხედვები და გეგმები აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების მიმართულებით, ამის შესახებ განათლებისა და მენეჯერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსმა, **ეკა დგებუაძემ** ისაუბრა: *„ინკლუზიური განათლება ეს არის ცალკე განათლების სისტემა განათლების სისტემაში. რასაკვირველია, ძალიან ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ის მცირე ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ გადადგა, გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ სწორ გზაზე ვდგავართ და იმედი გვაქვს, უფრო მეტ ქმედით და ხარისხიან განათლებას შევთავაზებთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს“.*

უფრო ქმედითი და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მისაღებად დიდწილადაა დამოკიდებული ადრეული განვითარების პროგრამებზე. როგორც გაირკვა, ხშირია შემთხვევები, როცა მოზარდები 10, 12, 15 წლის ასაკში მიდიან სკოლაში და არანაირი საგანმანათლებლო ისტორია არ აქვთ. ამიტომაც მათ განსხვავებული მიდგომა და განსხვავებული სერვისი სჭირდებათ, სისტემაც სწორედ ამ კუთხით ხედავს ბევრ პრობლემას. ამიტომაცაა ძალიან მნიშვნელოვანი, რომ ადრეული განვითარების პროგრამები უფრო გააქტიურდეს.

დღეის მონაცემებით, 3500-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე 800-ზე მეტ საჯარო სკოლაში სწავლობს. *„2012 წელს, როცა ვთქვით, რომ ინკლუზიური განათლება საქართველოში არსებულ ყველა საჯარო სკოლაში უნდა განხორციელდეს, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ავიღეთ,* – ამბობს ეკა დგებუაძე, – *თითოეულმა საჯარო სკოლამ ეს პასუხისმგებლობა თითოეული მოსწავლის წინაშე უნდა იგრძნოს. სწორედ ასეთი მიდგომით, გარკვეული ეტაპის შემდეგ, მივიღებთ შედეგებს. დღეს, საქართველოში, ძალიან ბევრი ბავშვია, ვინც ზის სახლში და არ იცის, რა არის ინკლუზიური განათლება – ამ კუთხით სერიოზული მუშაობა გვჭირდება. ჩვენ დავიწყეთ თანამშრომლობა ჯანდაცვის სამინისტროსთან, აუცილებლად უნდა გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები, რომ სისტემამ შშმ ბავშვები დაინახოს და მათთვის შესაბამისი სერვისების განვითარებაზე ვიზრუნოთ.“*

ინკლუზიურ განათლებაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს უნივერსიტეტის დონეზე სპეცმასწავლებლების საბაკალავრო პროგრამების არარსებობაც. ამას ადასტურებს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსიც: *„ჯერჯერობით, ჩვენ ვერ ვზრდით პროფესიონალებს, თუმცა ვმუშაობთ იმ კუთხით, რომ სკოლას ჰყავდეს პედაგოგი, რომელიც მხარს დაუჭერს და ხელს შეუწყობს მოსწავლეს ინკლუზიური განათლების ხარისხიანად წარმართვაში. კარგია, რომ 2014 წლიდან დაიწყო სამაგისტრო პროგრამები და უკვე გვყავს სტუდენტები სპეციალური მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამაში. ეს წინგადადგმული ნაბიჯია“.*

ეკა დგებუაძემ მაგული შაღაშვილის მიერ წამოჭრილ გაცდენების პრობლემასაც უპასუხა: *„ამ შემთხვევაში, ხარვეზი არის ის, რომ სამინისტროს არ აქვს მონიტორინგის მექანიზმი, ასევე ვერ ხერხდება და არ ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. თუმცა, ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ. სწორედ მონიტორინგის მექანიზმი დაარეგულირებს და მოსთხოვს სკოლის ადმინისტრაციას, დაინახოს თითოეული მოსწავლის დასწრება და მიზეზი, რის გამოც ის სკოლას აცდენს“.*

რაც შეეხება მძიმე ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებს, სამინისტრო ფიქრობს და ეძებს გზას, როგორ მიაწოდოს მათ განათლება. სწორედ ამ მიზნით, საპილოტე რეჟიმში, თელავსა და თბილისში გაიხსნა ინტეგრირებული კლასები აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის. *„დაკვირვების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ კლასებმა გაამართლა და დაგვაფიქრა, რომ მართლაც ხომ არ აჯობებდა ფორმალურ განათლებაში – საჯარო სკოლის სივრცეში – გავაჩინოთ ასეთი შერეული კლასები. ეს იქნება სერვისი, რომელიც თავიდან აგვაცილებს სპეცკლასების აუცილებლობას. შესაძლოა, 2015 წლიდან, საჯარო სკოლებში, კიდევ ორი ასეთი კლასი გავხსნათ“* – გვითხრა ქალბატონმა ეკამ. თუმცა, როგორც ირკვევა, კურიკულუმში არსებობს შინმომსახურების სერვისი, რომელიც ავალდებულებს პედაგოგს, გარკვეული პერიოდულობით, ასეთი კატეგორიის მოსწავლეს შინ მიაკითხოს. აღმოჩნდა, რომ პედაგოგებმა, დამატებითი დაფინანსების გარეშე, ასეთ მომსახურებაზე უარი განაცხადეს, ამიტომაც ამ მექანიზმმა არ იმუშავა.

„ჩვენი მიზანი და ამბიციაა, ყველა ბავშვი ჩავრთოთ ფორმალურ განათლებაში გარკვეული სერვისების საფუძველზე. უნდა ვიფიქროთ, როგორ გავაჩინოთ ეს სერვისები. ხედვა ასეთია: ბავშვი უნდა წავიდეს საჯარო სკოლაში და სკოლის შემდეგ – „დღის ცენტრში“. „დღის ცენტრმა“ უნდა იზრუნოს იმ უნარების განვითარებაზე, რასაც შშმ ბავშვს აძლევს სკოლა. უნდა შედგეს თანამშრომლობა, შეიკრას ჯაჭვი – ერთად ვიზრუნოთ ბავშვის განათლება-განვითარებაზე“ – ამბობს ეკა დგებუაძე.

პედაგოგთა დასახმარებლად

ინგლისური ენა

საშინაო დავალების ეფექტურად გამოყენების სტრატეგიები

ეკა ტყავაშვილი

უდავოა, რომ საშინაო დავალება სწავლის აუცილებელი ნაწილია. მას მოელის მოწაფე, სკოლის დირექტორი და მასწავლებელი. მისი სარგებელი თვალსაჩინოა. მოწაფეები იმახსოვრებენ კლასში დასწავლილ ენობრივ მასალას, განიმტკიცებენ დასწავლილს და განივითარებენ სწავლის ჩვევებს, რაც მათ ენის კოგნიტურ და დამოუკიდებელ შემსწავლელებად გადააქცევს.

საშინაო დავალება საკლასო მუშაობის გაგრძელებაა, რაც მოწაფეებს საშუალებას აძლევს გაითავისონ კლასში მიწოდებული მასალა. იგი გაკვეთილებს შორის ერთგვარი ხიდის როლსაც ასრულებს. მოწაფეები აგრძელებენ მუშაობას ინგლისურ ენაზე მთელი კვირის განმავლობაში, მაშინაც კი, როცა მხოლოდ ორი გაკვეთილი აქვთ კვირაში. ამგვარად, საშინაო დავალება მოწაფის სწავლის პროცესის ქვაკუთხედია.

მოწაფეს და მასწავლებელს შეუძლია საშინაო დავალების გამოყენება სწავლაში მიღწევებზე კონტროლის წარმოების მიზნით. სიდნეი ს. ზენტალი და ს. გოლდშტაინი თავიანთ წიგნში: „შვიდი ნაბიჯი საშინაო დავალების წარმატებისთვის“ განმარტავენ: *„საშინაო დავალება მნიშვნელოვანია, რადგან სახლსა და სკოლას შორის გზაჯვარედინზე იმყოფება. იგი წარმოადგენს ფანჯარას, რომლიდანაც აკვირდებით თქვენი ბავშვის განათლებას“.*

ხოლო ჰოვარდ გარდნერი, მრავალმხრივი ინტელექტის თეორიის ავტორი, ამბობს, რომ: *„მასწავლებლებმა უნდა დაუთმონ ენერგია ისეთი დავალების შექმნას/მოფიქრებას, რაც უფრო მასტიმულირებელი და გამომწვევია, ვიდრე ბანალური. მასწავლებლები და მშობლები ერთად უნდა ცდილობდნენ ახალგაზრდების მოტივირებას და ისეთი გზების მოფიქრებას, რომლებიც მათ დაეხმარება, მაგრამ არამც და არამც თვითონ არ უნდა უპასუხონ მათ მიერ დასმულ შეკითხვებს. გარდა ამისა, მათ ევალებათ გაითვალისწინონ ბავშვის ტალანტი და სუსტი მხარეები.“*

საშინაო დავალება სამ მნიშვნელოვან კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. ინტერესი

მასწავლებელმა უნდა მოიფიქროს, თუ რამ შეიძლება დააინტერესოს მისი მოწაფეები. მან უნდა დასვას შემდეგი კითხვები: რას აკეთებენ მოწაფეები საკლასო ოთახის გარეთ? კითხულობენ? ფილმებს უყურებენ? მეგობრებთან ერთან დადიან გასართობად? ამის გათვალისწინებით მათ უნდა მოიფიქრონ, როგორ გადააქციონ რეალური აქტივობები საკლასო დავალებებად.

2. რელევანტურობა

იმისათვის, რომ მოწაფეებმა დრო დაუთმონ საშინაო დავალებას, მათ უნდა შეიგრძნონ, რამდენად ღირებულია ის მათთვის. პედაგოგი ხშირად მიუთითებს გაკვეთილზე შესასრულებელი აქტივობის მიზანს. მაგალითად: „ახლა ჩვენ ვაპირებთ ახალი სიტყვების შესწავლას, რაც დაგეხმარებათ წერილის დაწერაში“. ამ გზით მოწაფეები აცნობიერებენ, თუ რატომ ვთხოვთ მათ გარკვეული დავალებების შესრულებას. საჭიროა მოწაფეებს ნათლად გადავცეთ ამა თუ იმ აქტივობის მიზანი. მაგალითად: „უყურეთ ფილმს, იმიტომ რომ ის გასართობია და ამავე დროს მასში გამოყენებული ლექსიკა თანამედროვე და სასარგებლოა“. ერთი შეხედვით, თითქოს ეს არაფერს განსაკუთრებულს არ ნიშნავს, მაგრამ თქვენი მოწაფეები გააცნობიერებენ, ამ დავალების შესრულებით რა წარმატებას შეიძლება მიაღწიონ სწავლაში. როცა ისინი საკუთარ წინსვლას დაინახავენ, მეტად გააქტიურდებიან. ამ შემთხვევაში საშინაო დავალების მიცემა გაადვილდება, რადგან მოწაფეები მეტი აქტიურობით და მონდომებით ასრულებენ იმ სამუშაოს, რომლიდანაც სარგებელს იღებენ.

3. შემსწავლელის სწავლის სტილი

საბოლოო ჯამში, საშინაო დავალება ხელს უწყობს მოწაფეს ჩამოყალიბდეს, როგორც ავტონომიური შემსწავლელი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სწავლის პროცესში. იმისთვის, რომ გახდეს ავტონომიური, მოწაფემ უნდა გააანალიზოს, რა გზით ურჩევნია სწავლა. ერთი მხრივ, მასწავლებლის მოვალეობაა, ეფექტური სწავლის პირობების შექმნა, მაგრამ სწორედ რომ მოწაფეებმა უნდა გადაწყვიტონ, რა წარმოადგენს მათთვის მიზნის მიღწევის ოპტიმალურ საშუალებას.

ზოგიერთი მოწაფე თავდაჯერებულია და მიყვება საკუთარ გზას, ზოგი კი მეტ მხარდაჭერას და დახმარებას საჭიროებს მასწავლებლის მხრიდან.

მოწაფეებს უნდა ვთხოვოთ გაითვალისწინონ შემდეგი რჩევები:

1. თუ ამხანაგებთან ერთად უყვართ სწავლა, წაახალისეთ, რომ შეხვდნენ ერთმანეთს სკოლის გარეთ;
2. თუ მუსიკის მოსმენა უყვართ, სთხოვეთ, დააკვირდნენ, რომელი მუსიკა შეეფერება ინგლისურის სწავლას;
3. თუ მოწაფეებს კითხვა უყვართ, სთხოვეთ, მოიტანონ წიგნები, რომლებიც წაიკითხეს მშობლიურ ენაზე და მათი მოკლე შინაარსი გადმოსცენ ინგლისურ ენაზე. მათ ასევე შეუძლიათ მოამზადონ პროექტები საყვარელ მწერალზე და წარადგინონ ინფორმაცია კლასში;
4. თუ მოწაფეებს ხმამაღლა კითხვა უყვართ, სთხოვეთ, ჩაიწერონ როგორ კითხულობენ სხვადასხვა სახის ტექსტს. მასწავლებელი უსმენს ჩანაწერს და უთითებს უკუკავშირს მათი ლაპარაკის შინაარსობრივ და ენობრივ მხარეებს შორის;
5. როცა მოწაფეები ხატავენ ან უბრალოდ მექანიკურად ხატავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ვიზუალური შემსწავლელები არიან. ამიტომ ჩართეთ ისინი აქტივობებში სურათების ან სხვა ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

ქვემოთ განვიხილავთ აქტივობებს, რომლებიც მოწაფეების მოტივაციას იწვევს და, შესაბამისად, საშინაო დავალების ეფექტიანობას ამაღლებს.

აქტივობა 1: ჩემი საყვარელი დავალება

დონე: ელემენტარულიდან საშუალოსკენ და უფრო მაღლა

დრო: კლასში 10-15 წუთი

საშინაო დავალება: 30-40 წუთი

მიზანი: მოწაფეების მოტივირება მათთვის საყვარელი აქტივობების შესრულების საშუალებით

მომზადება: ამოარჩიეთ რესურსი, რომელიც გინდათ რომ მოწაფეებმა გამოიყენონ, მაგალითად, ტექსტი სახელმძღვანელოდან, სტატია გაზეთიდან და/ან აქტივობა სამუშაო რვეულიდან.

გაკვეთილის მსვლელობა:

1. დააჯგუფეთ მოწაფეები სამ-სამად და სთხოვეთ, გაიხსენონ თქვენ მიერ მიცემული ისეთი დავალება, რომლის შესრულებაც მათ მოეწონათ და სწავლისთვის ეფექტურად მიიჩნიეს. გონებრივი იერიშის საშუალებით ჩამოთვლიან კითხვის დავალებებს, ენობრივ აქტივობებს და ა.შ. მასწავლებელი ჩაინიშნავს მათ, რათა შემდგომში გაკვეთილის დაგეგმვისას გაითვალისწინოს;
2. დაარიგეთ მასალა, რომელიც გინდათ რომ მოწაფეებმა გამოიყენონ;
3. უთხარით მოწაფეებს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა გაიმეორონ მათთვის საყვარელი დავალებები კლასში იმ მასალის გამოყენებით, რომელიც მიაწოდეთ. მათ საშინაო დავალებად მიეცემათ აქტივობის მომზადება და პროცედურის დაწერა დამოუკიდებლად;
4. შემდეგ გაკვეთილზე შეაგროვეთ მოწაფეების მიერ მომზადებული საშინაო დავალება, თუკი საჭიროა შეასწორეთ, გადაიღეთ ქსეროასლები იმ მასალისა, რაც მათ შეიძლება დასჭირდეთ;
5. გადადეთ დრო გაკვეთილებზე იმისთვის, რომ მოწაფეებმა შეასრულონ მათ მიერ მომზადებული/შექმნილი აქტივობები.

კომენტარი

ეს აქტივობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს პარასკევობით, როცა მოწაფეს ვთხოვთ, წარმოადგინოს აქტივობა და ახსნას, რატომ აირჩია იგი. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა იმ მოწაფეებისთვის, რომელთაც საკუთარ სწავლაზე კონტროლის აღება სურთ.

შეიძლება ამ აქტივობის გამარტივება. თუ არ გაქვთ მასალების გამრავლების საშუალება, უბრალოდ, სთხოვეთ მოწაფეებს აღწერონ აქტივობის მსვლელობა სახლში.

მაგალითად, მოწაფე იყენებს მეტაფორებს გაკვეთილის დასაწყისში. კლასელებს სთხოვს თქვან, რომელ ფერს ისურვებდნენ იმ მომენტისათვის. მაგალითად, მოწაფე გადმოწერს საყვარელი მომღერლის სიმღერის ტექსტს პატარა ფურცლებზე. სტრიქონებს აურევს და დავალებას აძლევს კლასელებს, მოუსმინონ სიმღერას და დააწყონ სტრიქონები თანმიმდევრობით.

აქტივობა 2: ინგლისურის ჩანთა

ეს განსაკუთრებით მიზანშეწონილია იმ მოწაფეებისთვის, რომლებსაც აშინებთ დიდი რაოდენობით სიტყვების შესწავლა. თუ მათ იციან ფონეტიკური დაწერილობა, შეიძლება სთხოვოთ დაუმატონ სიტყვების ტრანსკრიფცია. ასევე მოწაფეებს შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი ჩანთებიც. გაიმეორონ ბარათებზე მოცემული სიტყვები, თანაკლასელებთან ან მშობლებთან ერთად.

დონე: დაწყებითი და ზემოთ

დრო: კლასში 15-20 წუთი

საშინაო დავალება: 15-20 წუთი

მიზანი: ახალი ლექსიკის დაგროვების ეფექტური გზის შექმნა, რომელიც უფრო მისაწვდომი და მოსახერხებელი შეიძლება იყოს მოწაფეებისთვის.

მასალა: ჩანთა ან პლასტმასის ყუთი, პატარა ზომის ბარათები

მსვლელობა:

1. გაკვეთილის ბოლოს მიეცით თითოეულ მოწაფეს მცირე ზომის ბარათი, რომელზეც დაწერენ ერთ სიტყვას ან ფრაზას გაკვეთილიდან;
2. საშინაო დავალებად სთხოვეთ, დაწერონ ამ სიტყვის შემცველი წინადადება ბარათის მეორე მხარეზე;
3. ჩამოკიდეთ ჩანთა საკლასო ოთახის კედელზე. მომდევნო გაკვეთილზე მოწაფეებს სთხოვეთ, ერთმანეთს აჩვენონ თავიანთი ბარათები. შემდეგ შეაგროვეთ ბარათები და შეამოწმეთ მნიშვნელობების და წინადადებების სისწორე. ჩააწყვეთ ბარათები ჩანთაში, უჩვენეთ მოწაფეებს და უთხარით, რომ ისინი მომავალში, ნელ-ნელა, ჩაუმატებენ სიტყვებს ჩანთაში;
4. გაკვეთლის დასაწყისში მასწავლებელი კითხულობს ბარათზე მოცემულ ლექსიკურ ერთეულს. მოწაფეებმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიხსენონ დეფინიცია. შეიძლება კლასის დაყოფა ორ გუნდად და ამ აქტივობის შეჯიბრად გადაქცევა. გუნდი, რომელიც პირველი მიაწოდებს დეფინიციას, მიიღებს ერთ ქულას;
5. კლასი იყოფა ორ გუნდად. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი დაყრის ბარათებს იატაკზე ან მაგიდაზე. თითოეული გუნდიდან ერთი წევრი მიდის ბარათებთან, იღებს ერთ-ერთ სიტყვას და მიაქვს თავის გუნდთან, რომელიც მას საკლასო ოთახის ბოლოს ელოდება. გუნდმა უნდა შეძლოს ამ სიტყვის სხვა წინადადებაში მოფიქრება. როგორც კი მოიფიქრებენ, უნდა წამოიძახონ. გუნდი, რომელიც ამას პირველი გააკეთებს, ქულას მოიპოვებს. შემდეგ მეორე სიტყვისთვის მიდიან ორივე გუნდის წარმომადგენლები და ეს პროცედურა გრძელდება. გუნდი, რომელსაც ყველაზე მეტი ქულა აქვს, გამარჯვებულია.
6. ასევე შეიძლება მასწავლებელმა ამოიღოს ბარათი, წაიკითხოს დეფინიცია, მოწაფეები კი ასახელებენ სიტყვას განმარტების მიხედვით.

აქტივობა 3. ჩემი ფოტოსურათი

დონე: დაწყებითი და ზემოთ

დრო: კლასში 20 წუთი

საშინაო დავალება: 40-60 წუთი

მიზანი: მოწაფეების უზრუნველყოფა სტიმულის მიმცემი საყრდენით

მასალა: მობილური ტელეფონი ან ფოტოაპარატი სურათის გადასაღებად

მსვლელობა:

1. კლასში თითოეულ მოწაფეს გადაუღეთ სურათი;
2. მოწაფეს დაუბეჭდეთ კლასელების სურათი;
3. მოწაფეს დაავალეთ სახლში აღწეროს სურათი. დახასიათებისას შეიძლება შეეხონ გარეგნობას, პიროვნულ თვისებებს და იმ საინტერესო ფაქტებს, რაც იციან კლასელის შესახებ;
4. მეორე გაკვეთილზე ეს აღწერილობები, ფოტოებთან ერთად, გამოფინეთ კედლებზე, რომ მოწაფეებმა ერთმანეთის ნამუშევრების წაკითხვა შეძლონ.

აქტივობა 4: ჯიბის ისტორიები

დონე: საშუალოზე დაბალი და ზემოთ

დრო: კლასში 15-20 წუთი

საშინაო დავალება: 30-40 წუთი

მიზანი: დავეხმაროთ მოწაფეებს შეადგინონ მოთხრობა მინიშნებებით

მასალა: სამი ჩვეულებრივი ნივთი (დღიური, კალამი, ცხვირსახოცი, გასაღები და ა.შ.) თქვენს ჯიბეში ან ჩანთაში მოწაფეებისთვის საჩვენებლად.

მსვლელობა:

1. გაკვეთილის ბოლოს, მოწაფეები წყვილებად დაყავით და სთხოვეთ, ჩანთიდან ამოიღონ სამი ნივთი – მაგალითის სახით მასწავლებელი თავისი ჩანთიდან და/ან ჯიბიდან იღებს ნივთებს;
2. სთხოვეთ მოწაფეებს დაწერონ 6-სიტყვიანი წინადადება, რომელშიც გამოიყენებენ მათი მეწყვილის ჩანთიდან ამოღებული სამი ნივთის დასახელებას.

მომდევნო გაკვეთილზე სთხოვეთ მოწაფეებს, წაუკითხონ მეწყვილეს მათ მიერ შექმნილი მოთხრობა.

აქტივობა 5: გამოცანა

დონე: საშუალო და ზემოთ

დრო: კლასში 20-30 წუთი

საშინაო დავალება: 60 წუთი

მიზანი: კლასში დეტალური მოსმენა. სახლში – კითხვა

მასალა: ერთ-ერთი თავსატეხი

მსვლელობა:

1. გაკვეთილის ბოლოს, მოწაფეებს უთხარით, რომ მისცემთ თავსატეხს, რომელზეც პასუხი უნდა იპოვონ სახლში და მოიტანონ შემდეგ გაკვეთილზე;
2. უკარნახეთ თავსატეხი.

მაგალითი:

A man sits in a restaurant. He orders water. The waiter comes back with a gun. He fires the gun. The man says thank you. Why did this happen?

Answer: The man ordered water because he had hiccoughs. The waiter fired the gun and scared him, which stopped the hiccoughs. That is why the man said thank you.

There’s a blind man in a prison with one window. The sun shines through the window. He has two balls, one white and one black. How can he tell which is which?

Answer: The black one absorbs the sunlight because it’s black and so it gets hotter than the white one.

3. შემდეგ გაკვეთილზე მოწაფეებს ჰკითხეთ, როგორ ამოხსნეს ეს თავსატეხები.

თუ მოწაფეებს ეს დავალება მოეწონებათ, სთხოვეთ მოიფიქრონ მსგავსი თავსატეხები მშობლიურ ენაზე და გადათარგმნონ. შემდეგ გაკვეთილზე შეაგროვეთ ისინი და გაასწორეთ ენობრივად. გაიმეორეთ პროცედურა, ამჯერად, მოწაფეების თავსატეხების გამოყენებით. ეს მეთოდი მეტად სასარგებლო და საინტერესოა, რადგან მოწაფეებს კითხვის და მოსმენის სტიმულს აძლევს.

ამრიგად, როგორც ზემოთ მოცემული აქტივობებიდან ჩანს, საშინაო დავალება შეიძლება გადავაქციოთ საინტერესო და ღირებულ საქმიანობად, მოწაფეების ინტერესების და მათი სწავლის სტილის გათვალისწინებით. უმეტეს შემთხვევაში, მოწაფეები პასუხისმგებლობით ეკიდებიან ისეთ სამუშაოს, რომელიც მათ პიროვნულ და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთანაა დაკავშირებული და როცა არა მხოლოდ მასწავლებლის სურვილს ემორჩილებიან, არამედ დავალების შერჩევისა და შექმნის გადაწყვეტილებას თვითონ იღებენ.

გამოსაშვები გამოცდები

საატესტატო გამოცდის დავალებათა ნიმუშები

ინგლისური ენა

Read the sentences and mark the correct choice.

1. Anna is …… teacher. She teaches in Tbilisi at school No 24.
A. a B. an C. — D. the

2. My small brother loves school and …… schoolbag is always full of books.
A. her B. his C. their D. our

3. My grandparents …… in Telavi. They have a nice two-storey house there.
A. lives B. are living C. is living D. live

4. This is a great party. My friends and I …… a lovely time.
A. has B. had C. are having D. were having

5. The Mona Lisa …… by an Italian painter Leonardo da Vinci centuries ago.
A. were painted B. will be painted C. has been painted D. was painted

6. Most of the houses in this town are designed by a famous …… .
A. artist B. architect C. actor D. economis

7. I never …… Coke. They say it's not healthy.
A. drink B. eat C. like. D. put

8. I had a toothache and I went to a …… . I had to wait long as there were a lot of patients.
A. teacher B. director C. dentist D. doctor

9. My cousin is a very ……. little boy. He is running around the house all the time.
A. act B. active C. action D. actor

Read the questions and mark the correct answers.

10. Could you answer the phone for me?
A. Sure, no problem. B. Sure, you can.
C. Yes, I'll answer you. D. Yes, the phone is over there.

11. How do you feel today?
A. How do you do. B. It's good. C. I feel well. D. It's a good feeling.

Read the texts and mark the correct answers.

12. Mary is in her room. It is very untidy. Her mother comes into the room. When she sees Mary's room, she becomes very angry. Mary's room is a mess. Her computer is on the floor, the books are under the table; her bag is under the chair. There is a small table near the window and Mary's CDs are on it. Mary's mother wants Mary to tidy up the room. Mary is not very happy about this.

Mary is unhappy because
A. her room is untidy. B. her mother is angry at her.
C. she has to clean her room. D. she has to go to bed.

13. Last Saturday my family and I went for a picnic at the beach. When we arrived there, my brother and I sat on the sand and began making sandcastles. Though the sun was shining, a cold wind was blowing and I didn't feel like swimming. But my brother, Tornike, didn't mind the wind and went swimming. When he got back his lips were blue and he was shivering. Mother poured some hot tea from the Thermos to keep him warm.

Why was Tornike shivering?
A. He was tired. B. He was hungry. C. He was thirsty. D. He was cold.

Read the dialogues and mark the correct answers.

14. Where does this dialogue take place?
– Are you ready to order?
– Will you, please, bring the menu first?
– Oh, sorry. Here you are.
– OK. Let me see. I'd like a cup of coffee and a chocolate cake, please.
– I'll be right back.
A. At home B. At the café C. At school D. At the sports hall

15. Where does this dialogue take place?
– Hello! We have a reservation for a double room under John Smith.
– OK, would you like a room with a sea view?
– Yes, that would be fine.
– Your room number is 103 and here is the key.
A. At the hotel B. At the supermarket C. At the restaurant D. At the club

პასუხები:
1.A 2.B 3.D 4.C 5.D 6.B 7.A 8.C 9.B 10.A 11.C 12.C 13.D 14.B 15.A

Русский язык

Прочитайте предложения и выберите правильный вариант ответа.

1. Древний город Ростов расположен на берегу ..... Неро.
А. озера Б. озеро В. в озере Г. с озером

2. В старинном городе Суздале ..... .
А. пяти монастырей Б. пять монастырей
В. в пяти монастырях Г. к пяти монастырям

3. ..... принимаются все желающие.
А. На работе Б. В работе В. С работы Г. На работу

4. В свободное время я люблю ..... по музеям.
А. ходит Б. ходить В. хожу Г. ходишь

5. Он купил ..... последний детектив Бориса Акунина.
А. о ней Б. ею В. её Г. ей

6. Монголы ..... первую перепись населения на Руси.
А. провели Б. завели В. вывели Г. привели

7. Отсчёт дней нового года ..... римляне начинали с первого марта.
А. давние В. старинные Б. старые Г. древние

8. ..... Европейского союза насчитывается двенадцать звёзд.
А. На флаге Б. В истории В. На заседании Г. В создании

9. Я считаю, ... главное для изучения языка – это труд и желание.
А. как Б. что В. и Г. но

Прочитайте вопросы и выберите правильный вариант ответа.

10. Пойдём завтра в гости?
А. К сожалению, я не знаю, где вы живёте.
Б. Завтра я сама жду гостей.
В. Они очень порядочные люди.
Г. Они не знакомы.

11. Что ты делаешь после занятий?
А. Не думаю. Б. Ничего определённого.
В. Точно не помню. Г. Не хочу ошибиться.

Прочитайте текст и выберите правильный вариант ответа на вопрос.

12. Малыши, с которыми с самого раннего возраста помимо родного общаются и на другом языке, обгоняют в развитии своих сверстников уже в первые годы жизни. Учёные пришли к выводу, что к двум годам такие дети имеют довольно большой словарный запас в каждом из языков и умеют легко переключаться с одного языка на другой.

О чём этот текст?
А. О пользе двуязычия. Б. О том, что учиться никогда не поздно.
В. О желании малышей изучать языки. Г. О богатстве лексики малышей.

Прочитайте текст и выберите правильный вариант продолжения предложения.

13. Польза яблок известна всем, но недавно открылась новая сторона этого плода. Японские учёные установили, что процесс очищения яблока от кожицы улучшает кровообращение головного мозга. Правда, ощутимого улучшения интеллекта ежедневное очищение яблок не гарантирует. И тем не менее, после опубликования результатов исследования цены на яблоки в Японии поползли вверх, что же касается японцев, то они тут же «схватились за ножи».
В Японии ...
А. цены на яблоки стабильны. Б. часто «хватаются» за ножи.
В. учёные обнаружили ещё одно свойство яблок. Г. растут лучшие сорта яблок.

Прочитайте диалоги и выберите правильный вариант ответа.

14. Где происходит диалог?
– Будьте любезны, взвесьте мне килограмм баклажан.
– Пожалуйста. Ещё что-нибудь?
– Да, мне нужно купить сыр.
– Сыр любого сорта вы сможете приобрести у центрального входа.
– Спасибо.
А. В ресторане Б. В столовой В. В хозяйственном магазине Г. На рынке

15. Куда решено поехать на экскурсию?
– Лекция закончилась, теперь мы можем обсудить маршрут следующей экскурсии.
– У тебя есть варианты?
– Можно поехать в Сигнахи или в Лопоту.
– Я там уже была. Может, в Сванети? Или, нет, давай на этот раз съездим в Хевсурети.
– Прекрасно, договорились.
А. В Сванети Б. В Лопоту В. В Хевсурети Г. В Сигнаги

პასუხები:
1.А 2.Б 3.Г 4.Б 5.Г 6.А 7.Г 8.А 9.Б 10.Б 11.Б 12.А 13.В 14.Г 15.

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

პროგრესი იმისთვის გვჭირდება, რომ თავისუფალი ევროპული ქვეყანა გავხდეთ

რუბრიკის სტუმარია სოფო ხოშტარია, პარიზი II პანთეონ-ასასის უნივერსიტეტის სტუდენტი

– სოფო, როგორ გახსენდება მოსწავლეობის პერიოდი, შენი მასწავლებლები... განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– დავამთავრე სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგულ-ქართული კოლეჯი. დარწმუნებული ვარ, ეს სკოლა ყველა მისი მოსწავლისთვის განსაკუთრებულად თბილ მოგონებებს აღძრავს. სკოლის პერიოდი ჩემთვის დაუვიწყარია. ვთვლი, რომ სკოლამ, თითოეულმა მასწავლებელმა, სკოლის მეგობრებმა დიდი წვლილი შეიტანეს ჩემს განვითარებაში. განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩემს დამრიგებელს, ფრანგულის მასწავლებელს და ახლა უკვე ძალიან ახლო მეგობარს – ირინა ტერელაძეს, რომლის დამსახურებაცაა, რომ მე და კიდევ ბევრი ჩემი თანაკლასელი, საფრანგეთში ვსწავლობთ. რა თქმა უნდა, სკოლამ გარკვეულწილად განსაზღვრა ჩემი პროფესიული მომავალი. დაწყებითი კლასებიდან ყველას გვქონდა საერთო საბოლოო მიზანი – გვესწავლა საფრანგეთში. თუმცა კონკრეტულად პროფესიის არჩევანზე სკოლას გავლენა არ მოუხდენია.

– რა გზა გაიარე საქართველოდან საფრანგეთამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად პარიზი?

– თავდაპირველად, კავკასიის ბიზნეს სკოლაში ვსწავლობდი. პირველ კურსზე გავაგზავნე პარიზში საბუთები, მაგრამ არ მიმიღეს. როგორც გაირკვა იმიტომ, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში არ ვსწავლობდი. უარი ჩემთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ბევრნი მივდიოდით ერთად და ერთად გვქონდა ყველაფერი დაგეგმილი, მაგრამ „არ დავნებდი“, გადავედი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და თავიდან გავაგზავნე საბუთები. ამჯერად მიმიღეს და მაინც, ორწლიანი წვალების შემდეგ, პარიზში წავედი. თუ რატომ შევარჩიე მაინცდამაინც პარიზი, ამას მარტივი პასუხი აქვს – იმიტომ რომ ფრანგული კოლეჯი დავამთავრე, პირველი კლასიდან ვსწავლობდი ფრანგულ ენას, ლიტერატურას, ფრანგულ კულტურასა და ისტორიას; მე და ჩემი მეგობრები, სკოლიდან, რამდენჯერმე ვიყავით პარიზში სასწავლო კურსით, ამიტომ ეს ქვეყანა ჩემთვის მეორე სამშობლოსავითაა.

– მიამბე პარიზი II პანთეონ-ასასის უნივერსიტეტის ისტორია, რა პროფესიას ეუფლები და რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი?

– პანთეონ-ასასის უნივერსიტეტი სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებების ფაკულტეტის პირდაპირი „მემკვიდრეა“, რომელიც XII საუკუნიდან არსებობდა და 1968 წელს, სტუდენტური გამოსვლების შემდეგ, დაიშალა. დღესდღეობით ეს სამართლის და ეკონომიკის მიმართულების ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია. დავამთავრე ეკონომიკის და მართვის ბაკალავრიატი საერთაშორისო ეკონომიკის განხრით. ახლა ვაგრძელებ მაგისტრატურას საერთაშორისო ეკონომიკის გეოსტრატეგიის მიმართულებით. პირველ რიგში, ჩემი არჩევანი განაპირობა იმან, რომ ბავშვობიდან მათემატიკისადმი მქონდა ინტერესი. როცა ვაბარებდი, „პერსპექტიულ“ ფაკულტეტად ითვლებოდა ეკონომიკა, მენეჯმენტი, ბიზნესი... რაც შეეხება მიმართულებას, რომელიც ავირჩიე უკვე ბაკალავრიატის მესამე კურსზე, ამ შემთხვევაში უფრო გააზრებული მქონდა ჩემი არჩევანი. ვფიქრობ, საერთაშორისო ეკონომიკა დღეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა. მით უმეტეს საქართველოში, რომელიც ახლა იწყებს მსოფლიო ეკონომიკაში აქტიურად ჩართვას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დარგში კარგი სპეციალისტების ყოლას.

– პანთეონ-ასასის უნივერსიტეტი გასცემს თუ არა გრანტებს და სტიპენდიებს უცხოელი სტუდენტებისთვის და რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები?

– რამდენადაც ვიცი, ჩემი უნივერსიტეტი არ გასცემს გრანტებს და სტიპენდიებს უცხოელი სტუდენტებისთვის. არსებობს საუნივერსიტეტო სამსახურები, რომლებიც ეხმარებიან უცხოელ სტუდენტებს სტიპენდიის მოპოვებაში, ბინის მოძებნაში და ა.შ. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველო არ შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომლის სტუდენტებსაც ეს სამსახურები ეხმარებიან. დაფინანსების მოპოვების ერთადერთი გზა ისევ საქართველოა. თუმცა, აქაც საკმაოდ მოუწესრიგებელი სისტემაა.

– პარიზი II პანთეონ-ასასის უნივერსიტეტში, ალბათ, ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ

– როგორც უკვე ვთქვი, პანთეონ-ასასის მთავარი პროფილია ეკონომიკა და სამართალი. შესაბამისად, ამ უნივერსიტეტიდან ბევრი ცნობილი იურისტი და ეკონომისტი გამოვიდა. მათ შორის არის საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის არაერთი წევრი, ბევრი ყოფილი და ამჟამინდელი მინისტრი. ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ფრანკოფონურ ქვეყნებშიც, მაგალითად, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პირველი ქალი პრეზიდენტი კათრინ სამბა-პანზა.

– რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ, რამდენად განსხვავდება ფრანგული უმაღლესი სასწავლო პროგრამები ქართულისგან?

– ვერ ვიტყვი, რომ სასწავლო პროგრამა დიდად განსხვავდება ქართული უნივერსიტეტების პროგრამებისგან. თუმცა აქაური სისტემა ბევრად უფრო მოწესრიგებული და გამართულია. მასალაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია. ჩემი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მოთხოვნის სტანდარტი აქ ბევრად უფრო მაღალია. რა თქმა უნდა, არსებითია ისიც, რომ პანთეონ-ასასში მსოფლიო დონის პროფესორები ასწავლიან, რომელთა ლექციების მოსმენაც, ვალდებულებაზე მეტად, სიამოვნებაა.

– რა ადგილი უჭირავს საფრანგეთში, კერძოდ პარიზში, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– ბიბლიოთეკებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ ფრანგულ და, ზოგადად, ევროპულ უნივერსიტეტებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი და მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს, იქ ადგილი არასდროს არის, იმიტომ რომ ყველა შეჩვეულია ბიბლიოთეკაში მეცადინეობას. გადამდები განწყობაა, ყველა მეცადინეობს და შენც იძულებული ხარ იმეცადინო.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულ უნივერსიტეტებთან შედარებით?

– მთავარი უპირატესობა, ალბათ, მოთხოვნა და თავად სტუდენტების დამოკიდებულებაა სწავლის მიმართ. აქ ყველა სტუდენტს გააზრებული აქვს, რამდენად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა მისი მომავლისთვის. ამიტომაც სწავლას ბევრად უფრო სერიოზულად ეკიდებიან და ეს დამოკიდებულება გადამდებია. გამოცდების პერიოდში იყო დღეები, როცა ჭამისთვისაც კი ვერ ვიცლიდი. 10-12 საათი გადაბმულად ვმეცადინეობდი, რამდენიმე ღამე გამითენებია. თბილისში სწავლის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ვსწავლობდი კავკასიის უნივერსიტეტში, რომელშიც მეტ-ნაკლებად მაღალი მოთხოვნებია, არც მიფიქრია და არც დამჭირვებია მსგავსი არაფრის გაკეთება. რა თქმა უნდა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მსოფლიო დონის ლექტორები, რომელთა ლექციების გაცდენა უბრალოდ აზრადაც არავის მოსდის, მიუხედავად იმისა, რომ დასწრება თავისუფალია. მოწესრიგებული სისტემა, უნივერსიტეტის გარემო, მდიდარი ბიბლიოთეკა, ეს ყველაფერი „გაიძულებს“, ისწავლო და შენც ამ გარემოს და გამართული სისტემის სრულფასოვანი წევრი გახდე.

– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე. გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა სწავლის პარალელურად?

– მეც, როგორც ნებისმიერ სტუდენტს, მაქვს მუშაობის უფლება. დაშვებულია სამუშაო საათების 60%. თუმცა, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, ვერ ვპოულობ სამსახურს. სამწუხაროდ, ჩემი უნივერსიტეტი (და ზოგადად, პარიზის უნივერსიტეტები) არ ეხმარება სტუდენტებს სამსახურის მოძებნაში.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? როგორია ფრანგული სტუდენტური ცხოვრება, როგორ ცხოვრობენ ფრანგი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული?

– თავისუფალ დროს მეგობრებთან ერთად ვატარებ. დავდივართ პაბებში, კლუბებში, სხვადასხვა ფესტივალებზე. ვცდილობ ვიმოგზაურო რაც შეიძლება ბევრი, რაც, რა თქმა უნდა, ევროპაში ყოფნისას ბევრად უფრო მარტივი და იაფია. მეგობრებთან ერთად ვიმოგზაურე ბარსელონაში, ვენეციაში, ბერლინში. ფრანგი ახალგაზრდები დაახლოებით ისევე ერთობიან, როგორც ქართველები და, ზოგადად, ნებისმიერი სხვა ეროვნების ადამიანები. უბრალოდ, პარიზში გართობის მეტი შესაძლებლობა და არჩევანია.

– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს? მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?

– აუცილებლად ვაპირებ საქართველოში დაბრუნებას. მიუხედავად იმისა, რომ პარიზში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, არც ერთი წუთით არ მიფიქრია აქ დარჩენა. იმედი მაქვს, პარიზში მიღებული განათლება დამეხმარება საქართველოში კარგი სამსახურის პოვნაში, თუმცა არ მგონია, რომ „უცხოური დიპლომი“ გადამწყვეტი ფაქტორი იყოს.

– რას ურჩევ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ

– პირველ რიგში ვურჩევ, საზღვარგარეთ სასწავლებლად შემართებით წავიდნენ, უნდა იყვნენ დარწმუნებულები იმაში, რომ ყველაფერს შეძლებენ. ჩემი გამოცდილებიდან ვურჩევდი, არ ინერვიულონ იმ პატარა პრობლემების გამო (მაგალითად პარიზში, ძირითადად, ბიუროკრატიული სახის პრობლემებია), რომლებიც აუცილებლად შეგხვდებათ. ბოლომდე შეირგონ სტუდენტური ცხოვრების ის ატმოსფერო, სიტუაცია, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლებად არის, გაერთონ, ბევრი იმოგზაურონ. და რა თქმა უნდა, ისწავლონ და ეცადონ, მოერგონ უნივერსიტეტის სისტემასა და მოთხოვნებს მინიმუმის დონეზე მაინც.

– როცა საქართველოდან ასე შორს ხარ, რა გენატრება ყველაზე მეტად?

– მიუხედავად იმისა, რომ პარიზში მარტო არ ვარ, ვცხოვრობ და ვსწავლობ ჩემს ბავშვობის მეგობრებთან ერთად, ალბათ ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე მეტად ჩემი ოჯახი და მეგობრები მენატრება. შემდეგ უკვე თბილისი და თბილისისთვის ჩვეული სიტუაციები. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლის ერთ-ერთი მიზეზი „თბილისური სიტუაციებისგან“ გაქცევა იყო, საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ზუსტად ეს სიტუაციები მენატრება ყველაზე მეტად. თუმცა, თბილისში ყოფნისას ანალოგიური შეგრძნებები მაქვს პარიზთან დაკავშირებითაც. ზუსტად ორ კვირაში მეწყება პარიზის ქუჩების, სახლის, ცხოვრების სტილის ნოსტალგია.

– როცა ადამიანი საზღვარგარეთ ცხოვრობს, ალბათ მეტს და ღრმად ფიქრობს სამშობლოზე. საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. როგორ ფიქრობ, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ, თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს?

– რა თქმა უნდა, უცხოეთში ცხოვრებისას სხვანაირად უყურებ, აფასებ, განიცდი ყველაფერს. ვფიქრობ, ჯერ კიდევ ბევრი ეკონომიკური, სოციალური თუ მენტალური პრობლემა უნდა გადაიჭრას იმისთვის, რომ განვითარებული ქვეყანა გვერქვას. საბედნიეროდ, ეს პროცესი უკვე დაწყებულია საქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

გარკვეული „ღირებულებები“ (რომლებიც სინამდვილეში სულაც არ არის ღირებული), საბედნიეროდ, უკვე გადაფასებულია. თუმცა სულაც არ მგონია, რომ ეს ყველაფერი იმისთვის უნდა მოხდეს, რომ ევროპამ „მიგვიღოს“. პროგრესი გვჭირდება იმისთვის, რომ საბოლოოდ ბუნებრივად გავხდეთ დემოკრატიული, ტოლერანტული, ნორმალურ ღირებულებებზე დაფუძნებული თავისუფალი ევროპული ქვეყანა.

– შენ ღირსეული წინაპრების შთამომავალი ხარ, გვიამბე მათ შესახებ...

– ჩემი დიდი ბებია – ანასტასია ერისთავი-ხოშტარია და ბაბუა – დუტუ მეგრელი (დიმიტრი ხოშტარია) ცნობილი მწერლები იყვნენ. მეორე მხრიდან ჩემი წინაპარი იყო მარი ბროსე – ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი, რომელმაც საფუძველი დაუდო ევროპულ ქართველოლოგიას. ალბათ ფრანგული გენეტიკის „ბრალია“, რომ ჩვენს ოჯახში ყოველთვის იყო განსაკუთრებული ინტერესი ფრანგული კულტურისადმი. მეც სწორედ ამის გამო მოვხვდი ფრანგულ კოლეჯში და საბოლოოდ – საფრანგეთში.

– ანასტასია ერისთავი-ხოშტარია იყო პირველი ქართველი ქალი მწერალი, რომელმაც ქალების პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება. მისი თაოსნობით დაარსდა ორგანიზაცია „მანდილოსანი“. დამეთანხმები, რომ იმ დროში ქართველი აზნაური ქალების ყოფა-ცხოვრების, ძველი ფასეულობების ცვლილებისა და ახალი ეკონომიკურ-მორალური წესრიგის ჩამოყალიბების შესახებ მოწოდება ნამდვილი გმირობა იყო. როგორ აფასებ მის შეუპოვრობას და შემართებას?

– ცოტა ხნის წინ, წავიკითხე ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას დღიური, რომელსაც ის 22-23 წლის ასაკში წერდა. ზუსტი გაგებით, ეს დღიური არც არის. მასში ანასტასია თავისი დროის პრობლემებსა და საკუთარ გეგმებზე წერს. ამ დღიურმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. წარმოიდგინეთ, ჩემი ასაკის ანასტასია ფიქრობს გლობალურ პრობლემებზე, მსჯელობს ქალთა მდგომარეობაზე იმ ეპოქაში, როცა ამაზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობდა და, მით უმეტეს, ხმამაღლა საუბრობდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალების განათლების საკითხს და ეს ბუნებრივიცაა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ხომ, ამ თვალსაზრისით, განსხვავება ქალებსა და მამაკაცებს შორის ძალიან თვალშისაცემი იყო. ქალებს შორის უმაღლესი განათლება ერთეულებს თუ ჰქონდათ მიღებული. საზოგადოება „მანდილოსანი“, რომელსაც თქვენ ახსენებთ, იმ დროისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. თავისი მიზნებით, ის ევროპულ ფემინისტურ ორგანიზაციებს ჰგავდა.

– ყველა ქართველისთვის ბავშვობიდან ნაცნობი და ახლობელია ლექსი „პატარა ქართველი“ და მოთხრობა „ქინაქინა“. რა განცდაა, როცა შენი წინაპრის – დუტუ მეგრელის შემოქმედება, თუნდაც ერთი ლექსი, მრავალი წლის შემდეგაც არ კარგავს აქტუალობას?

– რაც შეეხება დუტუ მეგრელს, მისი „ქინაქინა“ და „პატარა ქართველი“ ყველამ ზეპირად იცის. ბავშვობიდან მახსოვს ის პირველი, საოცრად თბილი განცდა, როდესაც „ქინაქინა“ წავიკითხე (ან წამიკითხეს) და ის ბავშვური შეგრძნება, როცა ვინმე „პატარა ქართველს“ ამბობდა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საამაყოა.

– რა არის შენთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი, რელიქვია, რომელიც წინაპრებისგან დაგრჩა?

– არ ვიცი, რამდენად შეიძლება ჩაითვალოს რელიქვიად დღიური, რომელიც ზემოთ ვახსენე. დარჩა ფოტოები, რომელთა თვალიერებაც ძალიან მიყვარდა ბავშვობაში. დარჩა წერილები და სხვა საბუთები, რომლებიც ახლა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასა და დუტუ მეგრელის არქივში. მათ შორის არის ილია ჭავჭავაძის წერილი დუტუ მეგრელისადმი, საზოგადოება „მანდილოსნის“ წესდების ხელნაწერი და სხვ. ეს ყველაფერი ჩემთვის უძვირფასესია.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესება

პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის მიერ არჩეულმა ტაქტიკამ, განათლების სამინისტროსა და დამსაქმებლებთან კონსტრუქციული დიალოგის წარმოების შესახებ, შედეგი გამოიღო როგორც პედაგოგთა შრომითი და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე სპმთპ-ის განვითარების კუთხით.

პროფკავშირის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი საჯარო სკოლების დირექტორებთან თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესებაა.

შრომის კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა უვადო ხელშეკრულების, სამსახურიდან განთავისუფლების პირობების შეცვლის და სოციალური პარტნიორობის შესახებ, საგრძნობლად გაუმჯობესა დასაქმებულის მდგომარეობა. გააქტიურდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირთან, რაც, ჩემი აზრით, მიმართულების მომცემია სკოლებისთვის. ამის თქმის საშუალებას 24-ე საჯარო სკოლის კოლექტივის განწყობაც მაძლევს. საგულისხმოა, რომ მათი მხრიდან მასწავლებლებისთვის სამუშაო ადგილის დამატებითი გარანტიის მიცემისა და მასწავლებლების მხრიდან თანამშრომლობაზე კოლექტიური პასუხისმგებლობის აღების, კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმების აუცილებლობის შესახებ ჯერ კიდევ 3 წლის წინ ვისაუბრე, ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის პრეზიდენტთან, ქალბატონ **მაია კობახიძესთან**. დღეს ეს იდეა რეალობად იქცა და ბედნიერი ვარ, რომ ისეთ კოლექტივთან მომიწია თანამშრომლობა, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული თავისი როლი და მოვალეობები ქვეყნის მომავლის წინაშე.

ბოლოს მინდა დავამატო, რომ ეს ნაბიჯი ჩემგან აღქმულია არა როგორც ექსპერიმენტი, არამედ როგორც გარდაუვალი აუცილებლობა სასკოლო გარემოს სწორად მოწყობისთვის, რაც, თავის მხრივ, აღზრდის ერთადერთ სწორ გზად მიმაჩნია. მჯერა, რომ ეს ხელშეკრულება ჩვენი ახალი საერთო გამარჯვებების საწინდარი გახდება.

გიორგი კაკაბაძე
თბილისის 24-ე საჯარო სკოლის დირექტორი

გმირები უახლესი წარსულიდან

სულ ცოტა ხნის წინ, გავაზის საჯარო სკოლაში „ სევდიანი“ ღონისძიება ჩატარდა. სევდიანი, მაგრამ, ვფიქრობ, საამაყო. ჩვენი სოფელი, ჩვენი სკოლა ერთბაშად სამი გმირის მშობლიური კერა გახდა.

დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უკვე ორჯერ დატრიალდა ტრაგედია. ტრაგედია, რომელსაც ომი ჰქვია სახელად. პირველ ომს, 1992-1993 წლებში, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე-აფხაზეთი და 4000 ქართველის სიცოცხლე შეეწირა, მათ შორის, ჩვენი თანასოფლელი **კახა ნანოშვილი**. იგი 1992 წლის ივლისში მოხალისედ წავიდა აფხაზეთის ომში, რათა მონაწილეობა მიეღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში და 1993 წლის 2 აგვისტოს გმირულად დაიღუპა.

კვლავ 1993 წელი. კვლავ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა... სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მარტვილში, გმირულად დაიღუპა **კობა წაწიშვილი**, რომელიც 1991 წლიდან მუშაობდა შს ორგანოს ყვარლის რაიონულ მილიციაში. მას მეუღლე და ერთი შვილი დარჩა.

2008 წელს შედარებით განსხვავებული სცენარით, მაგრამ მსგავსი შედეგით დასრულდა რუსეთ-საქართველოს ომი სამაჩაბლოში. ისევ არეულობა და დაძაბულობა. ისევ დაკარგული ტერიტორიისათვის ბრძოლა. ისევ მსხვერპლი და მათ შორის, ისევ ერთი გავაზელი ახალგაზრდა... **გელა მებაღიშვილი** ჯერ არ იყო გმირი, მაგრამ იყო რაიონში და საქართველოში გამორჩეული სპორტსმენი, რომელსაც მიღებული ჰქონდა უამრავი სამკერდე ნიშანი, დიპლომი, მადლობა და ოქროს მედალი ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირზე. 1993 წლიდან 2008 წლამდე, გელა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მუშაობდა კონტრაქტით. აფხაზეთიდან დაიწყო მისი ბრძოლის ველი. შემდეგ 2004 წელი – ცხინვალის ბრძოლა, სამშვიდობო მისია ერაყში. 2008 წელი... ისევ ცხინვალი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა. იგი ცეცხლმოდებულ ტანკს მიუბრუნდა დარჩენილი მეგობრების გამოსაყვანად, მაგრამ... გელა მებაღიშვილს, სიკვდილის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის სახელობის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა.

გავაზის საჯარო სკოლის დირექციისა და პედაგოგიური საზოგადოების ძალისხმევით, სკოლაში გმირების მემორიალური დაფები გაიხსნა, რაც უკვდავყოფს მათ სახელებს და ხელს შეუწყობს მოსწავლეების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. ღონისძიებას სტუმრობდნენ: ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ოთარ ბუჯიაშვილი**, რესურსცენტრის უფროსი **ქეთევან ჭიპაშვილი**, გმირების ოჯახების წევრები, პედაგოგები, მოსწავლეები და საზოგადოების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ყოველ გაზაფხულს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა პატივსაცემად, გაიმართება მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რათა თაობიდან თაობას გადაეცეს მათი გმირობის და ვაჟკაცობის მაგალითი.

ლელა კაპანაძე
ყვარლის მუნიციპალიტეტის
სოფელ გავაზის საჯარო სკოლა

გამოცდილება

სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი ინტეგრირებული პროფილით მე-6 კლასში

სასკოლო-საგანმანათლებლო სივრცე მრავლისმომცველი და უმნიშვნელოვანესია თავისი ფორმით, შინაარსით, დინამიურობით, მიზნებითა და შედეგებით. ამიტომაც ამ საქმეში დაკავებულ ადამიანებს კოლოსალური შრომა სჭირდებათ თავიანთი პროფესიული მისიის შესასრულებლად. სასკოლო-საგაკვეთილო აქტივობები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს ეფუძნება, ჭკვიანი პრაქტიკოსი მასწავლებლის ხელში არაერთ საინტერესო მიმართულებას იძენს, ჩარჩოებს სცდება და ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს სხვადასხვა გზით აღწევს.

ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, რაც, საბოლოო ჯამში, თავს იყრის სწავლებისა და სწავლის უმთავრეს მიზანთან, რასაც სრულფასოვანი, დემოკრატი, ტოლერანტი, მაღალზნეობრივი, ეროვნული ფასეულობების შემცნობი და მისი დამცველი ადამიანის ჩამოყალიბება ჰქვია. ტრანსფერი და საგანთა ინტეგრაცია ერთ-ერთი პროდუქტიული გზაა ამ უმნიშვნელოვანესი მიზნის მისაღწევად.

12 ოქტომბერს, ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეებმა (კლასის ხელმძღვანელი – **მარინა არაბიძე-აშვეთია**) მოაწყვეს სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტი მარშრუტით: ქუთაისი-მარტვილი-ნოქალაქევი-ზუგდიდი-ანაკლია-ქუთაისი.

აღნიშნული სასწავლო-შემეცნებითი აქტივობა დაიგეგმა დამრიგებლის სამუშაო გეგმის შესაბამისად და განხორციელდა 3 საგნის – ისტორიის, ბუნებისა და ქართული ლიტერატურის ინტეგრირების ფარგლებში. აღნიშნულმა აქტივობამ ხელი შეუწყო მასწავლებელთა და მოსწავლეთა თანამშრომლობას, მოსწავლეთა მოტივაციასა და კლასგარეშე მუშაობაში სამი სასწავლო დისციპლინის ფარგლებში მიღებული ცოდნა-გამოცდილების მიზნობრივ შერწყმას.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული სასწავლო-შემეცნებითი აქტივობა მეტად მომგებიანია იმ თვალსაზრისითაც, რომ, რადგანაც დღესდღეობით ტურისტული სააგენტოები ვერ გვთავაზობენ მეტად საჭირო სასწავლო-შემეცნებით ინფორმაციებს, მინი-ლექციებს ან გზამკვლევებს ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ობიექტის შესახებ (მოსწავლეთა ასაკობრივი მდგომარეობის შესაბამისად), სწორედ სასწავლო კურსის პროფილით, თავად მასწავლებლებს ხელეწიფებათ ამ პრობლემის მოგვარება. ექსკურსია უნდა იქცეს სასწავლო-შემეცნებითი მუშაობის საინტერესო და სახალისო ფორმად და არა უაზრო ღრეობისა და არაფრისმომცემი გართობის ასპარეზად. სწორედ ამ მიზნისკენ მივმართეთ აღნიშნული აქტივობა და 3 საგნის ინტეგრაციით კომპლექსურად საინტერესო გავხადეთ ვიზიტის მიზანი.

აღნიშნულმა აქტივობამ სასწავლო პროექტის სახე მიიღო, რომელიც მოიცავდა რამდენიმე ეტაპს და დაგვირგვინდა სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტით:

1. საგნის მასწავლებელთა შეკრება (კლასის ხელმძღვანელი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მარინა არაბიძე-აშვეთია**, ისტორიის მასწავლებელი – **ირმა ქარსელაძე**, ბუნების მასწავლებელი – **ნინო გუბელაძე**), გეგმის განხილვა, სახელმძღვანელოების მიმოხილვა, ინტეგრირებისთვის შესაბამისი მასალების შერჩევა ვიზიტით გათვალისწინებული ობიექტების შესატყვისად.
2. კლასის ჯგუფებად დაყოფა, ჯგუფის ლიდერების შერჩევა, მოსწავლეებისათვის დავალებების დანაწილება, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.
3. სახელმძღვანელოებით, მათ შორის წინა წლის ნასწავლი მასალიდან, შესაბამისი საკითხების მოძიება, ინტერნეტისა და სხვა წყაროების გამოყენება და საჭირო ინფორმაციის მოგროვება, „საინფორმაციო ბანკის“ შექმნა სამივე საგნის მიმართულებით.
4. მოსწავლეთა მიერ პოსტერების მომზადება, თვალსაჩინო მასალების შერჩევა და გაფორმება.
5. ვიზიტის დროის შერჩევა. ობიექტების ნახვის თანმიმდევრობის განსაზღვრა, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება (ვიზიტისათვის ოფიციალური საბუთების მომზადება, ტრანსპორტი, კვება და სხვ). მშობელთა ჯგუფის ჩართვა პროექტში. ბიუჯეტის შედგენა.
6. მასწავლებელთა რეგულარული მონიტორინგის დაწესება მოსწავლეთა მუშაობაზე.
7. სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის მოწყობა.

ისტორიაში მე-5 კლასის სახელმძღვანელოს პირველი თავი გვთავაზობს რუბრიკას „დრო და ისტორია“. ბავშვებმა უკვე იციან გეოლოგიური და ისტორიული დროები, მათ შეუძლიათ მსჯელობა ობიექტის ისტორიული წარსულის, მკვიდრთა განვითარებისა და ადგილობრივი თავისებურებების შესახებ ზოგადი თეორიული მასალა. მასწავლებელი ჩაატარებს მინი-ლექციას ყველა ობიექტთან უშუალო სტუმრობისას, მოსწავლეებიც წარმოადგენენ ისტორიის კუთხით მოპოვებულ ინფორმაციას, გამართავენ პოსტერებზე მოთავსებული საკითხების პრეზენტაციას ლიდერისა და ჯგუფის თითოეული წევრის მონაწილეობით, თემისა და თემაში შემავალი ცალკეული საკითხების განხილვის ფონზე.

ბუნებაში, სახელმძღვანელოს ფარგლებში, მოცემული მასალის გათვალისწინებით, მოსწავლეებმა იციან, ზოგადად, როგორ მოვიდა ჩვენამდე წარსულის ნაშთები, იციან ფიზიკური და ქიმიური მოვლენები, გასულ წელს ნასწავლი მასალიდან იცნობენ ფლორისა და ფაუნის თავისებურებებს. მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეუსაბამებენ ვიზიტის ფარგლებში მოცემულ ობიექტებს ბუნების კუთხით განსახილველ მასალებს და მოამზადებენ პრეზენტაციას. მასწავლებელი მინი-ლექციით მოგვაწოდებს საინტერესო ინფორმაციას აღნიშნულ საკითხებზე, ფაქტებსა და მოვლენებზე, ბუნებრივ რესურსებზე და სხვ.

ქართული ლიტერატურის ფარგლებში, მოსწავლეები წარმოადგენენ წინასწარ მომზადებულ მხატვრულ-შემეცნებითი მნიშვნელობის ნამუშევრებს, წაიკითხავენ ლექსებს, ჩანახატებს, სახელდახელოდ შექმნილ მხატვრულად აღქმულ შთაბეჭდილებებს.

წარმოვადგენთ სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტის ინტეგრირებულ გეგმას ზემოხსენებული მარშრუტის ფარგლებში:

მარტვილის სავანე – დედათა მონასტერი (ჯგუფი I, ლიდერი – მარიამ ფურცხვანიძე)

მიზანი: ქრისტიანული მორალის გაღრმავება, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი ქრისტიანული არქიტექტურული ძეგლის დათვალიერება. ვიზუალური და იდეური შთაბეჭდილების მიღებით პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება. არსებული ცოდნის დაკავშირება უშუალოდ ნანახ-განცდილთან.

	ისტორია	ბუნება	ქართული
აქტ. 1	მარტვილის სავანის ისტორიის გაცნობა.	მარტვილის სავანის ბუნებრივი მდებარეობა, ფლორისა და ფაუნის თავისებურებანი.	წინასწარ მომზადებული ლექსებისა და ჩანახატების მხატვრული კითხვა.
აქტ. 2	წინასწარ მომზადებული პოსტერის „მარტვილის დედათა სავანე“ პრეზენტაცია. განსახილველი საკითხები: მარტვილის ეკლესიის აშენების დრო, არქიტექტურა, ფუნქცია, ტაძრის ძველი და თანამედროვე სახე.	მარტვილის სავანის ეზოს მცენარეთა ჯიშები. ბუჩქოვანი მცენარეები. ჰავა, კლიმატი.	სახელდახელო ჩანახატის დაწერა თემაზე „წმინდანთა საუფლო“. საუკეთესო ნაშრომის საჯარო კითხვა.
აქტ. 3	ტაძრის ინტერიერში ვიზიტის მონაწილეთა შესვლა და ლოცვის რიტუალის შესრულება.	რა მასალით აგებდნენ ტაძარს, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო (კირქვა, დუღაბი), თხევადი და მყარი ნივთიერებები (ხატწერის საშუალებები – მელანი, საღებავები).	საღმრთო სახლის მხატვრული აღწერა ტროპის სახეების (შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება, რიტორიკული შეძახება, მიმართვა) გამოყენებით.

ნოქალაქევი – უძველესი ისტორიული ძეგლი (ჯგუფი II, ლიდერი – ავთანდილ ბასილაძე)

	ისტორია	ბუნება	ქართული
აქტ.1	ნოქალაქევის, ციხე-გოჯის – უძველესი ქართული ცივილიზაციის კერის წარმოშობა, ჩვ.წ/აღ-მდელი ეპოქის ნაშთი. ფარნავაზი, ქუჯი – სვანეთ-ეგრისის ერისმთავარი(მასწავლებლის მინი-ლექცია).	ნოქალაქევის-არქეოპოლისის-ციხე-გოჯის ბუნებრივი მდებარეობა.	ბერძნული მითი არგონავტებზე.
აქტ. 2	წინასწარ მომზადებული მასალის – „ნოქალაქევი“ – პრეზენტაცია არქეოპოლისის უძველეს მიწაზე: ა) ლაზიკის სამეფოს დედაქალაქი (ზოგადად); ბ) ნანგრევები, ანუ უძველესი ცივილიზაციის ნაშთები; გ) ფარნავაზი და ქუჯი; დ) „სამდინარო ჭიშკარი“ და მისი დანიშნულება ძველად.	მცენარეთა საფარი ციხე-ქალაქის გალავანში. მდინარე ტეხურა და მისი მდებარეობა, თვისებები წელიწადის სხვადასხვა დროს.	საუბარი თემაზე – „ჩემი წინაპრის სუნთქვა“. პატრიოტული ლექსების მხატვრული კითხვა: ლადო ასთიანი „ცხრა ძმა ხერხეულიძე“, „ჩემი სამშობლო“
აქტ. 3	ნოქალაქევის-არქეოპოლისის – ციხე-გოჯის მუზეუმის დათვალიერება.		

ზუგდიდი – დადიანების სასახლე (ჯგუფი III, ლიდერი – ავთანდილ ბასილაძე)

	ისტორია	ბუნება	ქართული
აქტ.1	ზუგდიდის დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი – მსოფლიო მნიშვნელობის სამუზეუმო ექსპონატების შემკრები ადგილი (მასწავლებლის მინი-ლექცია).	დადიანების სასახლის ბაღის მცენარეული საფარი, სასახლის ბუნებრივი მდებარეობა.	ეკატერინესა და ნ. ბარათაშვილის სიყვარულის ისტორია.
აქტ. 2	მოსწავლეთა მიერ წინასწარ მომზადებული საპრეზენტაციო მასალის (პოსტერების, ცალკეული თემების) წარდგენა სასახლის დეკორატიული ბაღის ბზის ხეივანში: ა) არქეოლოგიური ექსპონატები; ბ) ნუმიზმატიკური კოლექცია; გ) დაცული სიწმინდეები და ხელნაწერები; დ) სამხედრო არქივი; ე) ნაპოლეონ პირველის ნიღაბი.	ბაღის გაშენების ისტორია. ჰავა და ნიადაგი.	ბარათაშვილისეული ეკატერინესადმი მიძღვნილი ლექსების მხატვრული კითხვა („საყურე“, „სული ობოლი“ და სხვ.)
აქტ. 3	ზუგდიდის დადიანების სასახლის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის დათვალიერება.		ლადო ასათიანი – „სალაღობო“.

დადიანების ბოტანიკური ბაღი (ჯგუფი IV, ლიდერი – გურამ მიქაძე)

	ისტორია	ბუნება	ქართული
აქტ. 1	დეკორატიული ბაღის დაარსების ისტორია (მასწავლებლის მინი-ლექცია).	ბოტანიკური ბაღის ფლორა და ფაუნა (მასწავლებლის მინი-ლექცია).	რას წერდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მოგზაურები დადიანების ბაღის შესახებ. ბოროზდინისეული ტექსტის მხატვრული კითხვა.
აქტ. 2	მოსწავლეთა მე-4 ჯგუფის მიერ მომზადებული საპრეზენტაციო მასალის (პოსტერების, ცალკეული საკითხების) წარდგენა: ა) ბაღის შექმნის იდეა, ხორცშესხმა და დანიშნულება (დავით დადიანის საჩუქარი მეუღლეს – ეკატერინე ჭავჭავაძეს); ბ) ბაღის მცენარეთა კოლექციის წარმომავლობა; გ)თურქების ვანდალიზმი ანუ ბაღის გაპარტახების ამბავი; გ) აღდგენილი სამოთხე; დ) ეგზოტიკური ბაღი დღეს.	მცენარეთა ძირითადი სახეობები. სუბტროპიკული მცენარეები შიშველთესლოვანნი, ფარულთესლოვანნი. „ბოთლახე“ და მისი თვისებები. ნიადაგი, ჰავა.	„ეკატერინეს მიერ მოწერილი წერილი გორდიდან პლატონ იოსელიანისადმი“ – წერილის მხატვრული კითხვა. ლექსების კითხვა, დეკლამაციაში შეჯიბრი. ვაჟა-ფშაველა – „მხედართა ძველი სიმღერა“. მუხრან მაჭავარიანი – „რაც სურდა საბას“.
აქტ. 3	გასეირნება ეგზოტიკურ სამყაროში.		

საშინაო დავალება: მოსწავლეები დაწერენ თხზულებას „ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი დღე.“

ზემოაღნიშნული აქტივობები, წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, დიდი მონდომებითა და წარმატებით განხორციელდა. სასწავლო-შემეცნებითმა ვიზიტმა თავისი მისია და სააღმზრდელო დანიშნულება შეასრულა.

სასწავლო შემეცნებითი ვიზიტის მოკლე აღწერა

12 ოქტომბერს საოცრად მზიანი და თბილი დღე გათენდა. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისაგან შემდგარი ჯგუფი გაემართა დასავლეთის მიმართულებით. იყო საოცრად ამაღლებული და სახალისო განწყობა. მოსწავლეებს ხელში ეჭირათ პოსტერთა გრაგნილები. ყველა მათგანი მოტივირებული იყო დაკისრებული საანალიზო საპრეზენტაციო მასალის მაღალ დონეზე წარმოჩენისათვის. მუშაობა წარიმართა წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით, თუმცა შემეცნებითმა პროცესმა ცოცხალი სამუშაოსათვის დამახასიათებელი ფორმაც მიიღო და მთელი სავიზიტო პროცესი ყველასთვის, მათ შორის დამხვდურთათვისაც, მეტად საინტერესო და სახალისო გახდა.

სასწავლო-შემეცნებით ვიზიტში წარმატებით მონაწილეობდნენ მოსწავლეები: **მათე ახალაძე, ავთანდილ ბასილაძე, ლიზი ბოჭორიშვილი, ნინო გოგიბერაშვილი, ლაზარე გუტიძე, საბა თედორაშვილი, მარიამ ლანჩავა, ოთარ ლომთაძე, ანი მაჭავარიანი, გურამ მიქაძე, ლუკა ონიანი, გიგი ტალახაძე, მარიამ ფურცხვანიძე, ნია ყაველაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ხეცურიანი, ელენე მოდებაძე.** მოსწავლეებმა ცოცხალი მუშაობის პროცესში სახელდახელოდ შექმნეს ჩანახატები, რომელთაგანაც პირველი ჯგუფის ლიდერმა მარიამ ფურცხვანიძემ წარმოადგინა მარტვილის ზღაპრული სავანის შესახებ.

მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა დიდი მონდომებით მონაწილეობდა პრეზენტაციებში. ისინი ხალისით წარმოადგენდნენ საჭირო ინფორმაციას, ებმებოდნენ ცალკეული საგნების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში. კითხულობდნენ ლექსებს და დეკლამატორულ უნარსაც ამჟღავნებდნენ. ბოლოს მოეწყო ცოცხალი ლიტერატურული მონტაჟი „მოვეფეროთ საქართველოს“. ნოქალაქევის სავანეში ლიზი ბოჭორიშვილმა მაღალი დეკლამატორული უნარით წაიკითხა ლექსი „სავედრებელი მზეს“.

სასწავლო-შემეცნებითმა ვიზიტმა შეასრულა თავისი მიზანი. მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ კოგნიტურ პროცესებში, ვიზიტის მრავლისმომცველი შემეცნებითი და სახალისო აქტივობები მათ არასოდეს დაავიწყდებათ.

მარინე არაბიძე-აშვეთია
წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის მე-3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული მასწავლებელი

ინფორმაცია

ინფორმაციითა და ემოციებით დატვირთული დღეები

„ჩემი ევროპული მომავალი“ – ასე ერქვა სემინარს, რომელშიც მესტიის რაიონის და თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლები ვმონაწილეობდით. მესტიიდან 15 საჯარო სკოლის მასწავლებელი, გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, 29 ოქტომბერს გავემგზავრეთ. სასტუმროში დაბინავების შემდეგ, რესტორან „ქალაქურში“ გაიმართა ვახშამი, რომელსაც ესწრებოდნენ: საინფორმაციო ცენტრის დირექტორი **ელენე გოცაძე**, ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი **უილიამ ლაჰიუ**, ნატოს საინფორმაციო ცენტრის ოფიცრები. ჩვენთან ერთად იყო ჩვენი რაიონის რწმუნებული **კახა ჟორჟოლიანი**. ვახშამმა საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

30 ოქტომბერს, დილის 9 საათიდან, ნატოს საინფორმაციო ოფისში სემინარი გაიმართა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ და საინფორმაციო ცენტრის დირექტორი ელენე გოცაძე. სემინარში მონაწილეობდნენ ხელმძღვანელის მოადგილე **კრისტინა ბალეშიტე** და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრის დირექტორი **ნინო ევგენიძე**. ღონისძიება მიზნად ისახავდა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე პედაგოგების ინფორმირებასა და მათ გააქტიურებას. შევხვდით ლიტვის ელჩს, რომელმაც თავისი ქვეყნის გამოცდილებაზე გაამახვილა ყურადღება.

იმავე დღეს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს ალექსი პეტრიაშვილს შევხვდით. მინისტრმა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე, კერძოდ, ნატოს უელსის სამიტის შედეგებსა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებზე ისაუბრა.

დღე დატვირთული იყო ინფორმაციით და ემოციებით.

31 ოქტომბერს შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობას, თანამშრომლებს და პედაგოგების პრობლემებსა და სასწავლო პროცესში ევროპული სტანდარტების დანერგვის შესაძლებლობებზე გვეესაუბრა.

სემინარის მხარდამჭერი იყო ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრი და ნატოს სამეკავშირეო ოფისი.

ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორ სჭირდებათ ერთნაირი პროფესიის ადამიანებს, განსაკუთრებით პედაგოგებს, ერთმანეთთან კონტაქტი, სიახლოვე, აზრთა და გამოცდილებების გაზიარება. ნაყოფიერმა სამუშაო დღეებმა დაგვამეგობრა კიდეც და სურვილი გაგვიჩნდა, ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს, მოვიწვიოთ ჩვენი თბილისელი კოლეგები, თუნდაც ჩვენ-ჩვენი სკოლის სხვა მასწავლებლებიც და გვქონდეს საინტერესო შეხვედრები...

ჩვენი ვიზიტი გრანდიოზული ღონისძიებით – პრომეთეს მღვიმის მონახულებით დასრულდა. ყველა პედაგოგის სახელით, მადლობას ვუხდი ნატოს საინფორმაციო ცენტრს ამ სემინარის ჩატარებისთვის.

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლის მასწავლებელი

შემოდგომისა და ჰელოუინის დღესასწაული

31 ოქტომბერს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში, შემოდგომისა და ჰელოუინის დღესასწაული გაიმართა.

ღონისძიება კომპლექსური ხასიათის იყო და მოიცავდა ბავშვთა ნახატების გამოფენას, საშემოდგომო ნობათით კუთხეების მოწყობას, თეატრალიზებულ სანახაობებს და უფროსკლასელთა პირველ ინტელექტთამაშს.

ღონისძიება მომზადდა მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „თინეიჯერ ლიდერთა კლუბის“ და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შემოქმედებითი გაერთიანების მიერ, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე **ანჯელინა დოროშისა** და საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის ასევე „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისე **ანი კავალკის** მხარდაჭერით. მათ წინასწარ რამდენიმე საინტერესო პრეზენტაცია გააკეთეს „ლიდერთა კლუბისათვის“ ჰელოუინთან დაკავშირებით. ვინაიდან იგი უხვი და ბარაქიანი შემოდგომის მიწურულს აღინიშნება, გადავწყვიტეთ, სწორედ 31 ოქტომბერს, ღია ცის ქვეშ მოგვეწყო ღონისძიება. ეს იყო მეტად ფერადი და ლამაზი დღე, კულტურათა შერწყმა... ბერიკების ნიღბებიანი და ჰელოუინისათვის დამახასიათებელი კოსტიუმირებული სანახაობა ერთობ შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი, ბარაქიანი კუთხეები წარმოადგინეს საგარეჯოს №4, თოხლიაურის, ხაშმის, გიორგიწმინდის და უჯარმის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა. მთელ ტერიტორიაზე მოეწყო საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის კლუბისა და სკოლების მოსწავლეთა საშემოდგომო ნახატების გამოფენა. კოსტიუმირებული მსვლელობა გახსნეს საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის პატარა მონაწილეებმა, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად.

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოსწავლეებმა – **მარიამ დურგლიშვილმა, ეთერ ტეტიაშვილმა, მარიამ ტიგინაშვილმა** და **ლიკა დარისპანაშვილმა** – ხალისიანად წაიყვანეს პროგრამა. მათ თანატოლებს უამბეს ჰელოუინის შესახებ, რომელიც კელტური კულტურიდან, ირლანდიიდან და შოტლანდიიდან იღებს სათავეს და ზამთრის სეზონის რიტუალს უკავშირდება. ეს ერთგვარი „ახალი წელია“, რომელიც ძველის დასასრულსა და ახალი სეზონის დაწყებას აღნიშნავს, რომელიც 31 ოქტომბრის ღამეს და 1 ნოემბრის დღეს აღინიშნება. ირლანდიელი პატარები კარდაკარ დადიან და, ჩვენი „ჭონასა“ და „ალილოს“ მსგავსად, საჩუქრებს, ძირითადად – ტკბილეულს, იღებენ მასპინძლებისგან.

სანახაობა, რომელიც ბავშვებმა წარმოადგინეს, ასევე წააგავს ჩვენებურ ბერიკაობას და ჭიაკოკონობას. სწორედ ამიტომ ბერიკაობის სცენით გაიხსნა ღონისძიება. შემდეგ კი თითოეულმა მონაწილე სკოლამ მხიარული პერფომანსები წარმოადგინა – ქართული დღესასწაულებისა და „ჰელოუინის“ ერთგვარი შერწყმა, ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა.

მხიარული სანახაობა უფროსკლასელთა რიგით პირველმა ინტელექტთამაშმა შეცვალა, რომელსაც, ტრადიციულად, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მენეჯერი **ბადრი დრეიძე** უძღვებოდა. თამაშის გამარჯვებული საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის გუნდი გახდა..

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს ოთხივე, თოხლიაურის, გიორგიწმინდის, დიდი ჩაილურის, უჯარმის, ხაშმის, წყაროსთავის, პატარძეულის საჯარო სკოლებისა და პატარძეულის ქართულ-ფრანგული სკოლა-ლიცეუმის, საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა გიტარის შემსწავლელი წრის და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა კლუბების მოსწავლეები.

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის კოლექტივი მადლობას უხდის საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექციას, მონაწილე სკოლების დირექტორებსა და პედაგოგებს პროექტის მხარდაჭერისათვის. განსაკუთრებული მადლობა ჩვენს მოხალისეებს და „ლიდერთა კლუბის“ წევრებს.

თამარ ჯაბადარი
საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორი

სპორტი

საუნივერსიტეტო ტურნირი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ორი დიდი კაპიტანი გაიხსენეს. სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით, სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის **ზაურ ფხალაძის** თანადგომით და ამავე ცენტრის თანამშრომლის, უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის **ვახტანგ ბაქანიძის** ინიციატივით, 25 სექტემბრიდან 23 ოქტომბერის ჩათვლით, ჩატარდა საუნივერსიტეტო ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული ფეხბურთელების – ბორის პაიჭაძისა და ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის – ხსოვნას მიეძღვნა. ტურნირში 16 გუნდი მონაწილეობდა, ისინი 4 ქვეჯგუფად დაიყო; ჯგუფებიდან საუკეთესო 2-2 გუნდი მეოთხედფინალში გავიდა, ნახევარფინალში კი – 4 საუკეთესო გუნდი გადავიდა. ნახევარფინალში „ზევსმა“, ანგარიშით 7:5, „რეალს“ მოუგო; ხოლო „სელესაომ“ კი – „ადრენალინს“ 6:4.

III ადგილისთვის თამაშში ერთმანეთს შეხვდნენ „ადრენალინი“ და „რეალი“. შეხვედრა „ადრენალინმა“ (8:6) მოიგო; ფინალში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „სელესაო“ და „ზევსი“; ძირითადი დრო 3:3 დამთავრდა, დამატებით დროში – 5-5 წუთი – ანგარიში არ შეცვლილა. პენალტების სერიაში ხუთ-ხუთი დარტყმაც ფრედ დამთავრდა. პენალტების დარტყმის გაგრძელების სერია გაცუდებამდე გაგრძელდა. საბოლოოდ გაიმარჯვა „სელესაომ“ – 7:6.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები თასებით, სიგელებით და მედლებით დაჯილდოვდნენ. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამორჩეული ფეხბურთელები. ტურნირის *საუკეთესო ფეხბურთელად* დასახელდა **გიგა იკაშვილი**, ჯანდაცვის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, გუნდის კაპიტანი, რომელმაც ფინალი შეუცვლელად ითამაშა.

გამარჯვებული გუნდი და პრიზიორები თსსუ ფეხბურთის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა, ვახტანგ ბაქანიძემ დააჯილდოვა.

მორაგბეებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგეს

ქართული რაგბი აგრძელებს წარმატებას ყველა ასაკში. ამჯერად 19-წლამდელთა ნაკრებმა გაგვახარა, რომელმაც წარმატებით იასპარეზა ლისაბონში, თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში და პირველობა არავის დაუთმო. ამით მათ შარშან მოპოვებული საჩემპიონო ტიტულიც დაიცვეს და გაისად ისევ ლისაბონში გასამართი მსოფლიოს „ახალგაზრდული ალაფის“ საგზურიც მოიპოვეს, რომელიც, თავის მხრივ, 2016 წლის მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია.

ლისაბონში ჩვენებურთა პირველი მეტოქე ჰოლანდიის ნაკრები იყო, რომელიც 55:3 გაანადგურეს. არადა, თამაში იმათი შეტევებით დაიწყო და დასაწყისშივე საჯარიმოთი 3:0 დაწინაურდნენ, მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ეს მათი ერთადერთი მიღწევა იყო. ამან ჩვენებზე წითელი ნაჭერივით იმოქმედა და შეიძლება ითქვას, გადათელეს მეტოქე. მათ სწრაფადვე იგდეს ხელთ ინიციატივა და თანდათან გააძლიერეს მეტოქეზე ზეწოლა, მეორე ტაიმიდან კი მთლიანად „მოგუდეს“. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეტოქეს... 9 ლელო დაუდეს.

„უმცროს ბორჯღალოსნებს“ ნახევარფინალში პრინციპული მონინააღმდეგე – რუსეთი ერგო, თუმცა არც მათთან გასჭირვებიათ გამარჯვება და არანაკლები დღე აყარეს – 41:5 მოუგეს. რუსებთან ჩვენი დაპირისპირება ნებისმიერ ასაკში, ნებისმიერ ტურნირზე სცილდება სპორტის ფარგლებს და ამჯერადაც ასე იყო – ჩვენები თავიდანვე ეკვეთნენ მეტოქეს და უკვე მე-5 წუთისთვის 10:0-ს ვიგებდით. აღსანიშნავია, რომ ათივე ქულა გუნდს მგეზავმა **რევაზ ჯინჭველაშვილმა** მოუტანა თითო ლელოთი, გარდასახვით და ჯარიმით. მეორე ტაიმში ამას კიდევ სამი გარდასახვა დაუმატა და მატჩის მოგებაში უდიდესი როლი შეასრულა. ზოგადად, ჩვენებმა მეორე ტაიმი უფრო ძლიერად ჩაატარეს, მთლიანობაში კი მეტოქეს 6 ლელო დაუდეს.

ქართველებისთვის ფინალიც ორმაგად პრინციპული გამოდგა – ჯერ ერთი, ჩემპიონის ბედი წყდებოდა და ასეთი მატჩი ყოველთვის გამორჩეულია, ინტრიგა კი იმანაც გააძლიერა, რომ მეტოქედ მასპინძელი პორტუგალია ჰყავდათ. „ლობუში“ ბოლო წლებში ისედაც უხერხულ მეტოქედ გვექცა და „ერთა თასზე“ სერიოზულ კონკურენციას გვიწევს. ახლაც ცხარე ბრძოლა იყო მოსალოდნელი და იმედები მართლაც გამართლდა – ორთაბრძოლა დაძაბული გამოდგა, მაგრამ ისევ ჩვენების სოლიდური უპირატესობით დასრულდა – 44:14 მოიგეს.

რამდენიმე ორმხრივად გაცუდებული შეტევის შემდეგ ანგარიში საჯარიმოთი კვლავ ჯინჭველაშვილმა გახსნა – 3:0. ის ამჯერადაც ფეხბედნიერი გამოდგა და მთელი ტაიმი ჩვენების სოლიდური უპირატესობით წარიმართა – ტაიმის მიწურულს 20:0-ს იგებდნენ და მასპინძლებმა მხოლოდ ბოლო წუთზეღა დაგვიდეს ერთი ლელო, რომელიც გარდასახეს კიდეც – 20:7. შეხვედრის სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა, ჩვენებმა აქაც 6 ლელო მიითვალეს. განსაკუთრებით ლამაზი მესამე ლელო იყო, როცა მეტოქე მოლში 22 მეტრი ათრიეს, მერე კი მოლს **ბექა გორგაძე** მოსწყდა და სალელოე მოედანში დაუბრკოლებლად შეიჭრა. თუმცა, არანაკლებ შთამბეჭდავი იყო მომდევნო ორი ლელოც, რომლებიც მრავალფაზიანი შეტევების შედეგად მივითვალეთ.

როგორც გითხარით, ჩვენებს გაისად ისევ მოუწევთ ლისაბონში ჩასვლა, სადაც ერთდროულად იბრძოლებენ „ალაფისა“ და მსოფლიო პირველობის საგზურისთვის. იმედია, მაშინაც ასეთივე წარმატებით იასპარეზებენ, რადგან ახლა ცხადად გამოჩნდა, რომ ჩვენები რამდენიმე თავით მაღლა დგანან თავიანთ თანატოლებზე. მათ ყველა პაექრობა ხომ დიდი სხვაობით მოიგეს და ბლომად ლელოებიც დადეს, თუმცა საქმე მხოლოდ ანგარიშში არაა, ჩვენებმა სულ სხვა დონის თამაში აჩვენეს და წმინდა სპორტულ ასპექტებშიც გვარიანად დაჩაგრეს მოწინააღმდეგენი.

უგვირგვინო წარმატება

ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა, თანატოლთა მსოფლიო პირველობაზე, პირადში 4 მედალი მოიპოვა – 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო, გუნდურში კი მეორე ადგილზე გავიდა. ამის მიუხედავად, ეს მაინც ვერაა ის წარმატება, რასაც ამ გუნდისგან ველოდით და რასაც სექტემბერში ევროპირველობაზე ან თუნდაც შარშან მსოფლიო ჩემპიონატზე მიაღწიეს. პლანეტის ვიცე-ჩემპიონი ახლო წარსულის სახელოვანი ვეტერანის, აწ გარდაცვლილი **აკაკი კიბორძალიძის** შვილი **გუგა კიბორძალიძე** გახდა მძიმე წონაში, მესამე პრიზიორები კი – **კობა მჭედლიშვილი** (73), **ლევან გუგავა** (81) და **ბექა ღვინიაშვილი** (90). ბრინჯაოსთვის პაექრობა წააგო **გურამ თუშიშვილმა** (100) და მეხუთეზე დარჩა.

აკაკი კიბორძალიძე ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი იყო, ახლა კი ესტაფეტა შვილმა გადაიბარა, თუმცა, ვიმედოვნებთ, ის მამის მიღწევებს გააუმჯობესებს. ევროპის წლევანდელ პირველობაზე მეხუთეზე გავიდა, თუმცა საკმაოდ უღიმღამოდ იასპარეზა, ამჯერად კი ბევრად უკეთ გამოვიდა. რომ არა ფინალში წამიერი მოდუნება, ვინძლო, პლანეტის პირველობაზე ოქროს მედალიც მოგვეპოვებინა.

მედალოსანთაგან თბილისელ მჭედლიშვილს გამოვარჩევთ, როგორც ყველაზე პატარას და ძალზე სტაბილურს – 18 წლის, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, 1 ნოემბერს, გახდა. მჭედლიშვილი ჭაბუკებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია და ჯერ კიდევ იმ ნაკრებიდან მოყოლებული, სეზონს არ ტოვებს პირველხარისხოვან შეჯიბრებებზე მედლის გარეშე. ის წლეულს გადმოვიდა ახალგაზრდებში და ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე დაიმკვიდრა თავი არა მარტო ნაკრებში, არამედ, ზოგადად, ამ წონაში. ასევე ფრიად სტაბილურია გუგავაც, ვინც ყოველ სეზონს მუდამ მედლით ასრულებს. ის ევროპის პირველობაზეც მესამეზე გავიდა.

ჩვენი ნაკრების ყველაზე დიდი მარცხი **უშანგი მარგიანის** (81) უმედლოდ და ბექა ღვინიაშვილის ოქროს გარეშე დარჩენა იყო. ორივე ეროვნული ნაკრების წევრია და წლეულს მსოფლიოს პირველობაზე იჭიდავეს, ხოლო თანატოლთა ევროპირველობაზე ღვინიაშვილი ჩემპიონი გახდა, მარგიანი – ვიცე-ჩემპიონი, თუმცა ამჯერად ნაადრევად გამოვარდა. ღვინიაშვილი მომავალ ჩემპიონთან, უნგრელ **კრისტიან ტოტისთან**, დამარცხდა. მან უფროსთა მსოფლიო ჩემპიონატზე წონის ლიდერი **ვალერი ლიპარტელიანი** დაგვიმარცხა და მერე ფინალშიც გავიდა, სადაც ბერძენთა ქართველ **ილიას ილიადისთან** (**ჯარჯი ზვიადაურთან**) წააგო. ასეთი წარმატებების მიუხედავად, ღვინიაშვილს აქამდე მისთვის კარიერაში ყველა – ოთხივე პაექრობა მოეგო, მაგრამ ამჯერად დამარცხდა.

გუნდურ პირველობაში ჩვენები მსოფლიოს შარშანდელი გამარჯვებულები არიან და რომ არა ფინალში მსაჯის შეცდომა თუ მიკერძოება, ახლაც გაიმეორებდნენ იმავე მიღწევას. ამ შეჯიბრებაში ჩვენებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს შესაშური გუნდურობა და ერთსულოვნება, რის ხარჯზეც ფინალამდე ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს უზბეკეთი, ავსტრია და რუსეთი. ჩვენებმა ავსტრიელებს 4:1 მოუგეს, იმათ კი 3:2 აჯობეს. თან ორივე შეხვედრას 0:2 აგებდნენ და მერე იმარჯვეს. ეს დიდწილად მარგიანის (ეს ავსტრიასთან გუგავამ შეცვალა), ღვინიაშვილის და თუშიშვილის კარგმა ჭიდაობამ განაპირობა. განსაკუთრებით თუშიშვილი უნდა გამოვყოთ, რომელსაც მძიმეწონოსნებთან უწევდა პაექრობა, თუმცა ტოლი არავის დაუდო. ეგ კი არა, რუსთა მსოფლიოს პრიზიორს ქრესტომათიული გდებები ჩაუტარა.

ფინალში ჩვენი მეტოქე იაპონია აღმოჩნდა და დასაწყისი მასთანაც ნაცნობი სცენარით წარიმართა – ისევ 0:2 ჩამოვრჩით. მარგიანმა და ღვინიაშვილმა ისევ გაათანაბრეს, ხოლო თუშიშვილს მიეცა შანსი, შეჯიბრების ნამდვილი გმირი გამხდარიყო. სამწუხაროდ, მესამედ გუნდის გადარჩენა ვერ შეძლო, თუმცა ამაში დამნაშავე მსაჯია, ვინც გდება არ შეუფასა. ეს მართლაც გულდასაწყვეტი წაგება ბიჭებმა იმდენად განიცადეს, დაჯილდოებისას თუშიშვილმა იტირა კიდეც, ხოლო გუნდმა პროტესტის ნიშნად სამახსოვრო ფოტო არ გადაიღო.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

წიგნის თვრო — მიმდინარეობს ხელმოწერა

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითთეული კრებულის ფასი – 10

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

თემატური პლაკატები
დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. სოფლახალხო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

თემატური პლაკატები
მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საძანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) II, III, IV, V, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფშიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ძელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

ერთი ცალის

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით აღმაშენებელი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- თეოდორ ფონტანე - **ეფი** ახალი
- **ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი**
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტეზუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან **ინტელექტი სკოლას**

ფასი – 15 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის



თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი

თამარ ბეროზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი

გამოცემები

ქიმია
საატესტატო-საგამოცდო საკითხები და ტესტები
ლ. თევზაძე
ფასი – 3 ლარი

ქიმია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 6 ლარი

ბიოლოგია
საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

გეოგრაფია
საატესტატო გამოცდისთვის
გ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 6 ლარი

ისტორია
საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

ისტორია
ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

მათემატიკა
ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 6 ლარი

რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖



თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტ.ტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

9 772233 386008 >

CMYK